საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ოთხშაბათი 11 აგვისტო 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **125 მანეთი.** ცალკე ნომერი ყველგან **5 მანეთი** განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **10 მანეთი,** მეოთხე გვერდზე **6 მანეთი.** სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის **(15 × 2) 200 მანეთი** ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: **ერთობის ქ. № 4.** შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან **№ 18-თან. ტელეფონი 16—62.**

№ 180 — ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. — № 180

## საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

თფილისის ქალთა მეხუთე გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრის საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ორშაბათს ა. წ. 9 აგვისტოს დილის 5 საათზე ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე გიმნაზიის დამსახურებული უფროსი ქალი

**ნინო მერაბ. ლორთქიფანიძე-თავდგირიძისა**

პანაშვიდები ყოველ დღე საღ. 7 საათიდან გიმნაზიის შენობაში, ანდრეევის ქ. № 42. გასვენებისა და დაკრძალვის დღე შემდეგ გამოცხადდება. (2617—1—1)

ტრაღიკულათ გარდაცვალებულის

**კოლია პიმენის ძის გაგაშვილის**

დედა ნინო ავთანდილის ასული გაბაშვილისა, დები: მანია გაბუნიასი, ალექსანდრა პიპინაძისა, თამარა გიზისა და ეკატერინა იაშვილისა უღრმეს მადლობას ვუცხადებთ იმ პირთ ვინც პირადათ, წერილობით და ტელეგრაფით პატივი სცა მიცვალებულის ხსოვნას და გაიზიარა ჩვენი მწუხარება (2611—1—1)

## მუშათა მაგიდა

ამით აცხადებს ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო წარმოება-დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომლებიც სარგებლობენ მუშათა მაგიდის სურსათ-სანოვაგით, რომ ისინი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ მუშა-მოსამსახურეთა

## ❁ ახალი სიები ❁

და საალფავიტო ბარათები. ვინც 20 აგვისტომდე **ზემო-აღნიშნულ ახალ სიებს არ წარმოადგენს, მათ პური და სხვა სურსათ-სანოვაგე არ მიეცემათ.**

**წესი სიების შედგენისა:**

1) სიები უნდა იქნეს წარმოდგენილი ორ ცალად.

2) თითო სულზე თითო საალფავიტო ბარათი.

3) სიები და ბარათები უნდა იქნეს შედგენილი სუფთათ, დაწერილი გარკვევით, შემოწმებული ადმინისტრაციის, საქარხნო კომიტეტის ან პროფესიონალურ კავშირების მიერ **სახელმწიფო ენაზე;** სიებზე აღინიშნება **ჯგუფის ნომერი.**

4) სიის ბლანკებზე აღნიშნული წესები სავალდებულოა.

5) დედ-მამა (შრომის უნარს მოკლებულნი) და და-ძმანი (ობლები) თუ მუშა-მოსამსახურის შესანახია უნდა სათანადო მოწმობები იქნას წარმოდგენილი საქარხნო კომიტეტიდან ან პროფესიონალურ კავშირებიდან მათი პასუხისმგებლობის ქვეშ.

6) ბლანკების და საალფავიტო ბარათების შეძენა შეიძლება მუშათა მაგიდაში ყოველ დღე დილის 8—1 საათამდის.

7) ყოველგვარი დაწვრილებითი ცნობების მიღება შეუძლიათ **მხოლოდ ჯგუფების წარმომადგენლებს;** თუ ჯგუფის წარმომადგენელი ვერ დააკმაყოფილებს დაინტერესებულ პირებს, მათ ვთხოვთ შემოიტანონ **წერილობითი განცხადება,** სადაც უნდა იქნეს აღნიშნული დაწესებულება და ჯგუფის ნომერი.

8) ყალბი ცნობების მოწოდებისათვის დამნაშავენი იქნებიან პასუხისგებაში მიცემულნი.

**მუშათა მაგიდა.**

(ნ. 5—3)

## ჭიათურის სრულ უფლებიანი გიმნაზია

იწვევს შემდეგ საგნებში მასწავლებლებს: 1) ქართული ენისას (20 გაკვ. და კლ. დამრიგ.), 2) რუსული ენისას (20 გაკვ. და კლ. დამრიგ.). და 3) მათემატიკისას (22 გაკვ. და კლ. დამრიგ.).

## ჯამაგირები როგორც სახელმწ. გიმნაზიებში ყველა % დამატებით

თხოვნები და მოკლე curriculum vitale უნდა გამოიგზავნოს ქ. ჭიათურაში, გიმნაზიის დირექტორის სახელზე. (2551—2—2)

## საქართველოს მეაფთიაქთა კოოპერატივი „ზაპო“

ამით აუწყებს თავის წევრებს, რომ, 15 აგვისტოს, ამა წლისა, კვირას, დილის 11 საათზე, კოოპერატივის ბინაზე (რუსთაველის ქუჩა, № 34) დანიშნულია

## საზოგადო კრება

რომელმაც უნდა განიხილოს: 1) საკითხი კოოპერატივის ძირითადი თანხის გადიდების შესახებ, თანახმად წესდების 20 მუხლისა და 2) მიმდინარე საკითხები. თუ აღნიშნულ ვადაზე კრება არ შესდგა, იმავე დღეს, იმავ ბინაზე, შუადღის 12 საათზე დანიშნულია, მეორე საზოგადო კრება, რომელიც ჩაითვლება კანონიერად, რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს. წესდების 38 მუხლი.

**გამგეობა.** (2616—1—1)

## მუშათა ცენტრალურ კლუბში

(პლეხანოვის პრ.).

დღეს 11 აგვისტოს საღამოს 6 საათზე შესდგება

## საზოგადო კრება

მე-2 რე რაიონის საქ. სოციალ-დემოკრატიული მუშ. პარ. კოლექტივის წევრთა. 1) მოხსენებას გააკეთებს ადერბეიჯანიდან ახლათ დაბრუნებული ამხ. **ვლ. ბაქრაძე.** 2) მოხსენება პარტიული ყრილობის შესახებ. ამხ. **ბ. თევზაია.**

**კოლექტივის პრეზიდიუმი.** (უ. 1—1)

## „საბედისწერო საქანელა“

საბჭოთა რუსეთის და პოლონეთის ომი რომ დაიწყო, ჩვენ გადაჭრით დავგმეთ ის იმპერიალისტური მისწრაფებანი, რომლებმაც პოლონეთს ხელში მახვილი აიღებინეს. დიდი სახელმწიფოების დახმარებით წაქეზებულმა პოლონეთმა მოინდომა ძალით დაპყრობა ბელორუსიისა და მალოროსიისა მდ. დნეპრამდის. ისეთი ალაგების დაჭერა, რომლებშიაც სრულებით არ მოიპოვება პოლონეთის მოსახლეობა, ვერ შესძენდა პოლონეთის მთავრობას თავისი საკუთარი ხალხის თანაგრძნობას და დაპყრობილი ადგილების მოსახლეობას კი ქიდევ უფრო გაამძაფრებდა. ასეც მოხდა, და პოლონეთის ერთი თვის განმავლობაში ძლევამოსილი ლეგიონები საბჭოთა ჯარების მიერ დნეპრის ნაპირებიდან უკუგდებულ იქნენ. მას შემდეგ იწყება პოლონეთის სამხედრო ძალის დემორალიზაცია და ნგრევა. რამდენადაც სწრაფი იყო პოლონეთის ჯარის მიერ დნეპრის ნაპირებამდის წამოწევა, იმდენათ სწრაფია მისი უკან დახევა.

კომუნისტური ჯარების გამარჯვება პოლონეთის ჯარზე აიხსნება უმთავრესად იმით, რომ პოლონეთის სახით მოდიოდა უცხო ძალა, უცხო სახელმწიფო, რომელიც რუსეთის სახელმწიფოებრივს დამოუკიდებლობას ემუქრებოდა. არა ერთი და ორი მაგალითიდან ვიცით, რომ ამისთანა საფრთხე ერს აერთიანებს, აკავშირებს და ერის შიგნით მებრძოლ მოწინააღმდეგე ძალებს უთანხმოებას ავიწყებინებს და ერთმანეთთან არიგებს. ამ დროს სუსტი ერიც კი ძლიერდება და საგმირო საქმეების ჩამდენი ხდება. ამით აიხსნება ის სია- [illegible]

[illegible] ისე პოლონეთის სახელმწიფოს საფრთხეში ჩავდების გამო, უეჭველია, იქ პატრიოტული აღფრთოვანება იფეთქებს და თავდაცვის წყურვილს განამტკიცებს.

საბჭოთა რუსეთის მესვეურნი, როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, თავის ძლევა-მოსილებით გატაცებულნი, არ თანხმდებიან სამხედრო მოქმედების შეჩერებაზე ღ გადაწყვეტილი აქვთ ვარშავის დაჭერა. ამას, როგორც ყოველთვის, ამართლებენ იდეურის მოსაზრებით: საბჭოთა „წითელი“ ჯარები „ხელს უწვდიან“ პოლონეთის პროლეტარიატს და გლეხობას და უნდა დაიხსნან პოლონეთის მშრომელი ხალხი პანების ფეოდალიზმისაგან! დიახ, პოლონეთის დემოკრატიამ მართლაც უნდა დაიხსნას თავი პანების ბატონობისაგან. მაგრამ უცხო ძალის შესვლა პოლონეთის საზღვრებში ყველაზე უხეირო და ყოვლად უვარგისი და მიუღებელი გზაა ამ მიზნის მისაღწევად. ეს მეთოდი კი არ გააძლიერებს და არ გააღრმავებს პოლონეთის ხალხში იმ კლასიურ ბრძოლას, რომელიც იქ არსებობს და რომელმაც დღეს არა, ხვალ უნდა იფეთქოს (პოლონეთში რევოლიუცია არ მოხდარა), არამედ გარეშე საფრთხის წინაშე იქ განელდება ეს ბრძოლა და გაძლიერდება ეროვნული შეთანხმების იდეა. ასე მოხდა რუსეთში, სადაც პოლონეთის საფრთხემ ლენინის გარშემო შეაჯგუფა მისი ისეთი კლასიური მოწინააღმდეგენიც კი, როგორიც ნიკოლოზის გენერლები არიან, პოლონეთშიაც ასე მოხდება, თუ საბჭოთა რუსეთის ჯარებმა არ შეაჩერეს მისი დაპყრობა: იქაც გაძლიერდება თავდაცვის ინსტინქტი, მთელი ხალხი ფეხზე დადგება, დემორალიზაციით მოცული ჯარი ისევ წელში გაიმართება და ისევ დაიწყება თავდადებული სახალხო ბრძოლა სამშობლოს დასახსნელად შემოსეული მტრისაგან.

„საბედისწერო საქონელა“, რომელიც ეს სამი წელიწადია რუსეთში ქანაობს და რომელმაც რუსეთი უფსკრულამდის მიიყვანა, არ შესწყვეტს თავის ქანაობას იმ დრომდე, სანამ თვით საბჭოთა რუსეთიც არ უარჰყოფს იმპერიალისტურ გზას და თავის სამხედრო მოქმედებას არ განსაზღვრავს მხოლოდ თავდაცვით.

## პრესა

„ახ. კომუნისტი“ ემგზავსება იმ ფრინველს, რომელიც თავს იმალავს ფრთებში და როცა თითონ ვერარაფერს ხედავს, ჰგონია,—ვერც ვერავინ მე მხედავსო. ვერ ხედავს და არც უნდა დაინახოს თავისი დამარცხებები, იმედი კი აქვს, რომ ვერც მკითხველები დაინახავენ. აი როგორ ცდილობს ის, მაგალითად, ამ მკითხველების მოტყუებას და როგორ გამარჯვებათ გამოაქვს მათი თვალის წინ ის დიდი დამარცხება, რომელიც ნახეს ბოლშევიკებმა ციხეებში გამოცხადებული შიმშილობის გამო:

„რაშია გამარჯვება და როგორია ის ძალთა განწყობილება, რამაც ორას კომუნისტს საქართველოში გაამარჯვებია?

აქ ორი ძალა იყო დაპირდაპირებული: საქართველოს კომუნისტური პარტია და საქართველოს მთავრობა, პარტია და სახელმწიფოებრივი ძალა. პირველს უნდა ლეგალურ ნიადაგზე გამოვიდეს და ამ ნიადაგზე ბრძოლაში „ადმინისტრატიული ზომები“ თავიდან აიშოროს. ხოლო მეორეს სურს ეს პარტია ლეგალურ ნიადაგიდან გადააგდოს, არალეგალურ პირობებში მოამწყვდიოს“.

გაიხსენოს „ახ. კომუნისტმა,“ რას სწერდა აქ მისი წინაპარი „კომუნისტი“ პირველ ნომრებში: ჩვენ ლეგალური მუშაობა დავიწყეთ მაგრამ ეს ლეგალობა არ არის ჩვენი მუშაობის თავი და ბოლო, კერპათ არ გვაქვს ეს გადაქცეული! არ არის დიდი ხანი მას აქეთ, რაც ეს იწერებოდა ბოლშევიკების გაზეთში. თავისივე სიტყვით ისინი იტოვებდნენ არალეგალურ ასპარეზს. მთავრობამ არა ერთი და ორი [illegible]

[illegible] ვარშავაზე მიდიან. წითელი ბრესტი და წითელი ვარშავა, აი საიდან აშუქებს რუსეთის პროლეტარიატის ძლევა-მოსილი წითელი არმიის შარავანდედი.

„აი ვის და რის წინაშე მოიხარა ქედი მენშევიკურმა მთავრობამ და რამ გაამარჯვებია დღეს საქართველოს ციხეებში მომწყვდეულ კომუნისტებს“.

გაზეთი ვერ ამჩნევს, რომ ამ სიტყვებითაც ის თავის სისუსტეს აღიარებს და სხვას არაფერს. ჩვენ ვერაფერს დავაკლებდით მენშევიკურ მთავრობას, მაგრამ ჯერ დიდი რუსეთი გვყავსო... ასე გამოდის: „ახ. კომუნისტი“ გვემუქრება იმ ძალებით, რომლებიც დღეს ვარშავისკენ მიდიან. რა აქვს საერთო აქ მის ლეგალურ მუშაობას იმ შეიარაღებულ ძალებთან? ჩვენ კარგათ გვაქვს წარმოდგენილი ეს კავშირი, მაგრამ თქვენ რომ გვარწმუნებთ, მშვიდობიან გზას არ ვშორდებითო?..

გვესმის თქვენი მუქარის შინაარსი. ნუ გაგიკვირდებათ კი, თუ მთავრობა აქედან შესაფერ დასკვნას გამოიტანს. ხომ გაგიგონიათ,—რაც მოგივა დავითაო, ისევ შენი თავითაო.

## დამფუძნებელი კრება

7 აგვისტოს სხდომა.

თავმჯდომარეობს **ს. მდივანი.**

გრძელდება მსჯელობა ბიუჯეტზე.

**შ. ქარუმიძე** (ნაც.) აღნიშნავს, რომ ბიუჯეტს ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ საერთოდ დადებითი მხარეები სჭარბობენ. ბიუჯეტში უნდა იყოს საერთო ეკონომიური გეგმების განხორციელება, რაიც ჩვენს ბიუჯეტში სუსტათ სჩანს. ჩვენი ფინანსიური პოლიტიკა განისაზღვრებოდა, ერთი მხრით, ბონების გამოცემით და მეორეს მხრით, სესხის ძებნით. ბონების გამოცემის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ფული უფრო ადრე უნდა გამოგვეცა, ვინემ ეს მოხდა. ამიერ-კავკასიის ბონების პასუხისმგებელი არსებითად მარტო ჩვენა ვართ. საჭიროა ჩვენ გამოვისყიდოთ ბონები და განვაცხადოთ, რომ ამიერ-კავკასიის ბონებზე არა ვართ პასუხისმგებელნი. მაშინ ჩვენი ფულის კურსი აიწევს. ჩვენს ბონებს ცუდი წარწერა აქვს, იქ სწერია: ის გადის თანასწორათ რუსეთის ფულის ნიშნებისა. თუ შევუდარებთ ახლანდელ რუსეთის ფულის ღირებულებას, მაშინ ჩვენ წავაგებთ, რადგანაც ჩვენი ფული 30% მეტი ღირს რუსეთის ფულზე. ეს წარწერა უნდა მოისპოს, ამას, სხვა რომ არ იყოს, მოითხოვს ჩვენი დამოუკიდებლობა.

მე მოგახსენეთ, რომ ბიუჯეტი უნდა იყოს გამომხატველი რეალურ ძალთა განწყობილებისა სახელმწიფოში. ამას ჩვენს ბიუჯეტში არ ვხედავთ. შემოსავლის ¾ ნავარაუდევია სოფლიდან, სოფლის მეურნეობიდან და ამავე დროს სოფელზე ძალიან ცოტა ფული იხარჯება (ოევზაია; ასე შედარება არ შეიძლება; ეს მართალი არ არის.) სოფლის მეურნეობას ძალიან ნაკლებათ ვეხმარებით. ჩვენ მოვითხოვთ, რომ თანხები ყველა საზოგადოებრივ ძალებს თანაბრათ გაუნაწილოთ იმის მიხედვით, თუ ვინ რა რეალ ღირებულებას წარმოადგენს. თქვენ ძალიან ბევრსა ზრუნავთ ქალაქებზე, ქვეყნის კულტურულ აყვავებაზე, ხოლო სოფელზე ნაკლებათ. შემდეგ ორატორი ეხება ეკონომიურ პოლიტიკას და ამბობს: საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენდეს ჩვენი ქვეყნის მეურნეობა, ეს არის კერძო ინიციატივა. ფუფუნების საგნები შემოაქვთ კერძო ვაჭრებსო, ახლა ვიკითხოთ რას აკეთებს კოოპერაცია? მე და თედო ღლონტი ვმუშაობდით ერთხანს ერთად და ვიცი, რომ როცა ჩვენში საშინელი სასურსათო კრიზისი იყო, თედომ ორი ვაგონი ალვანაზი შემოიტანა ადერბეიჯანიდან (სიცილი; ხმები: აზიიდან?).

ჩვენი ბიუჯეტი ტექნიკურის მხრით ყოვლად დადებითადაა შედგენილი. ის განიცდის გავლენას იმ არანორმალ პირობებისა, რომელიც დღეს არის. მხოლოდ უნდა ითქვას, რომ ის (ბიუჯეტი) არ არის ნამდვილი სარკე ჩვენი ცხოვრებისა. სახელმწიფოს ჩარევა მეურნეობაში არ ხდება იმ გზით, რა გზითაც ეს სასარგებლო იქნებოდა. მონოპოლია ცუდ შედეგებს იძლევა, სასოფლო მეურნეობას არა აქვს ჯეროვანი ყურადღება მიქცეული. ჩვენ ვისურვებდით, რომ ჩვენი მომავალი ბიუჯეტი ამ საერთო შენიშვნების მიხედვით ყოფილიყოს შედგენილი.

**ალ. ახათიანი.** (ერ. დ.) ეკამათება მომარაგების მინისტრის ამხანაგს და ამბობს: თამბაქოს მოსავლის შემცირების უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ბაზარი არ ქონდა ომის დროს თამბაქოს. არც სასურსათო პოლიტიკა ყოფილა ისე საღი, როგორც ეს ჭავჭანიძემ განაცხადა, სოხუმის ოლქიდან უნდა გამოეტანათ ერთი მილიონი ფუთი სიმინდი, რაც კი გამოიტანეს რაღაც 50,600 ფუთი. სხვას არ დაანებეს გამოტანა, თვითონ კი ვერ შესძლეს. დიდი შეცდომები იყო აგრეთვე დაშვებული ფინანსთა უწყებაში ემისიის უფლებებში. ამაზე იყო ლაპარაკი, მე მხოლოდ ერთი ფაქტი მინდა აღვნიშნო კიდევ. ამ ბოლო დროს სომხეთმა გამოაცხადა სესხი, ჩვენმა ფინანსიურმა უწყებამ ძალიან იოლად დართო ნება საქართველოში ამ სესხზე ხელის მოწერისა. ეს დიდი საკითხია და ასე იოლათ მისი გადაჭრა არ ვარგა. ამას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ასეთი სესხის ნებართვა ჩვენ საზარალოთ მიგვაჩნია ჩვენთვის, რადგან ჩვენი ქვეყანა ფულს იღებს, სამაგიეროთ ქაღალდს მიიღებს, ეს არ არის მიზანშეწონილი. ჩვენი ვალიუტის მდგომარეობა კატასტროფიულია, ჩვენი ფულის კურსი თანდათან ეცემა. ამის მიზეზია ცუდი სავაჭრო ბალანსი ჩვენ იმპორტი ცოტათი შევზღუდეთ, მაგრამ, რაც უნდა დიდი ბაჟები დაადვათ, ფუფუნების საგნები მაინც შემოვა, ამიტომ ფუფუნების საგნების შემოტანა სრულიად აღკვეცილ უნდა იქნას, როგორც ეს საფრანგეთში მოხდა. საფრანგეთში ამ ზომამ კარგი ნაყოფი გამოიღო. იქ ფრანკის კურსმა მაშინვე აიწია. გარდა ამისა, ამბობს ორატორი, ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა უნდა შეეთვისოს ევროპის ეკონომიურ პოლიტიკას, ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ევროპიული ეკონომიური პოლიტიკა. უნდა მოეწყოს წესიერათ ექსპორტი განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბათომს ერთნაირი შეღავათიანი პირობების შექმნით და სხ.

**დ. ონიაშვილი** (ს. დ.) თუმცა ჩვენი ბიუჯეტის განხილვა დაგვიანებით ხდება, მაგრამ მის გარშემო უკვე დაიბადა დიდი საზოგადოებრივი ინტერესი. ეს რასაკვირველია, ადვილად ასახსნელია. თუ მართალია ის თეორია, რომ სახელმწიფო ცოცხალი ორგანიზმიაო, მაშინ ბიუჯეტი ამ ორგანიზმის მთავარი ძარღვია. ბიუჯეტის სისუსტე სახელმწიფოს სისუსტეა, მისი ძლიერება—სახელმწიფოს ძლიერებაა. თანამედროვე სახელმწიფო თავის არსებობისათვის მოითხოვს მრავალ ნივთიერ საშუალებებს. იგი იძულებულია აწარმოოს რთული ფინანსიური მეურნეობა, რომელიც საჭიროებს შემოსავალ-გასავლის წინასწარ ვარაუდის დაჭერას და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას. ხალხის წარმომადგენლობა მუდამ დიდის ინტერესით ადევნებდა თვალ-ყურს ამ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას. საბიუჯეტო უფლების გარშემო დიდხანს იბრძოდა დასავლეთ ევროპის დემოკრატია. დასავლეთ ევროპაში საბიუჯეტო უფლება ყველაზე ადრე მოიპოვა ინგლისის პარლამენტმა სტიუარტების დროს მე-17 საუკუნეში. ჩვენს დემოკრატიას საბიუჯეტო უფლებებისთვის განსაკუთრებული ბრძოლა არ დასჭირებია. ეს უფლება, სხვა უფლებებთან ერთად, ხალხმა მოიპოვა როგორც ლოღიკური შედეგი დიდი რევოლიუციისა.

**ბიუჯეტის მთავარი თვისება გამოიხატება სამ მოთხოვნილებაში:** 1. ბიუჯეტმა უნდა მოგვცეს მთლიანი სურათი სახელმწიფოს ფინანსებისა. ყველა უწყებების ნავარაუდევი შემოსავალი და მომავალი ხარჯები უნდა შედიოდეს ერთ მთლიან სახელმწიფო აღრიცხვაში.

2. შემოსავალ-გასავალი უნდა ემყარებოდეს ნამდვილ ციფრებს და გამოხატავდეს უკანასკნელ წლების საშუალო ოდენობას. ამასთანავე ბიუჯეტში განსაზღვრული უნდა იყოს ვადა.

3. ბიუჯეტი საფინანსო კანონია, რომელიც განსაზღვრავს მთავრობის მოქმედებისთვის საჭირო თანხების რაოდენობას. აქედან გამომდინარეობს მისი საჯარო ხასიათი (гласность)... ბიუჯეტი მხოლოდ მაშინ არის მტკიცე, როდესაც სახელმწიფო აქვეყნებს მას საჯაროთ და აძლევს ხალხს საშუალებას გაეცნოს თავის არსებობის წყაროს.

თუ ჩვენ ბიუჯეტს წაუყენებთ ამ მოთხოვნილებებს, დავინახავთ, რომ მას ღირსებასთან ერთად ნაკლიც აქვს *). მაგრამ ეს ნაკლი დღევანდელ პირობებში ადვილად მისახვედრია და გასაგები. და მართლაც, განა შეიძლება ამ ჟამად ჩვენმა ბიუჯეტმა სავსებით გამოხატოს „მთლიანი სურათი“ სახელმწიფოს ფინანსებისა? თქვენ ვერ დაასახელებთ დღეს ისეთ ქვეყანას. სადაც ბიუჯეტი ამ მიზანს აღწევდეს. საშინელმა ომმა და რევოლიუციამ გაანადგურა მთელი ქვეყნის დაგროვილი სიმდიდრე და მოშალა მისი ფინანსიური აპარატი. ასეთ პირობებში ნორმალური ბიუჯეტის შედგენა პირდაპირ შეუძლებელია. ამიტომ სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია ჩვენ ფინანსთა მინისტრის სიტყვები 1919—1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვის შესავალში: „იშვიათია ქვეყნად ისეთი სახელმწიფო, სადაც შესაძლებელი იყოს დღეს შემოსავლისა და გასავლის აღრიცხვის ისეთ პროექტის შედგენა, რომელიც მთავრობის პრაქტიკულ ნაბიჯებს უზრუნველ ჰყოფდეს მთელ მომავალ წლის განმავლობაში. განსაკუთრებით ძნელია ეს ჩვენ პირობებში იმიტომ, რომ ჩვენ არა გვაქვს წარსულის მაგალითი, რომელზედაც უნდა ემყარებოდეს მომავალი სამეურნეო მოქმედების გეგმა და, კერძოდ, საბიუჯეტო მოსაზრებანი“.

მაშასადამე ჩვენი ბიუჯეტის სუსტი მხარე გამომდინარეობს უმთავრესად ობიექტიურ პირობებიდან. მაგრამ ოპოზიცია სულ სხვანაირად უყურებს საქმეს. მისმა წარმომადგენლებმა ისეთი საშინელი სურათი დახატეს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან. **ოპოზიცია იწუნებს ჩვენი მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას და სამაგიეროს არ იძლევა არაფერს.** მისი მემარჯვენე სექტორი უსაყვედურებს მთავრობას, რომ იგი ახშობს კერძო ინიციატივას და ზღუდავს ვაჭრობა-მრეწველობის საქმეს, ხოლო მემარცხენე სექტორი გაიძახის, რომ იგივე მთავრობას მფარველობას უწევს კერძო მესაკუთრეებს და არ აკეთებს სოციალურ ექსპერიმენტებს ეკონომიურ დარგში. აშკარაა, რომ სცდება ორივე მხარე და მთავრობა ვერ იხელმძღვანელებს ამ შეცდომით. შეიძლება უკიდურესობა პოლიტიკაში ძალიან კარგი იყოს, მაგრამ ეკონომიურ დარგში იგი პირდაპირ დამღუპველია. ამის მაგალითია დღევანდელი რუსეთი.

**სახელმწიფო რეალურ ძალთა განწყობილების შედეგია.** შეიძლება უპასუხისმგებლო ოპოზიცია დონ-კიხოტივით მუდამ ბრძოლის გუნებაზე იყოს, მაგრამ ასეთი ბრძოლით სახელმწიფო ვერ აშენდება. დემოკრატიული მთავრობა მოვალეა ანგარიში გაუწიოს ყველა იმ ცოცხალ ძალებს, რომელნიც სახელმწიფოს წიაღში მოქმედებენ. მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარეობს. როგორც ფაუსტის გულში, ჩვენ ხალხში ორი სული სცოცხლობს: სული კერძო მესაკუთრისა და კოლექტიური შემოქმედებისა. მთავრობამ უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომ კერძო მესაკუთრეობის ინსტიტუტმა გამოიღოს ჩვენში უდიდესი ნაყოფი და შემდეგ უმტკივნეულოდ და ბუნებრივად შეიცვალოს იგი მეურნეობის განვითარების უმაღლესი ფორმით. ეს ცვლილება უნდა მოხდეს არა „სოციალურ ექსპერიმენტებით“, არამედ შეჯიბრებით, შრომით და წახალისებით.

**ოპოზიცია უსაყვედურებს ჩვენს მთავრობას ბონების კურსის დაცემას.** მოგეხსენებათ, ბ—ბო, რომ დღეს დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება ისეთი სახელმწიფო, სადაც ფულის კურსი არ იყოს საგრძნობლად დაცემული. ისეთი ქვეყნებშიაც კი, როგორიც არის ამერიკა და ინგლისი, ჩვენ ვხედავთ ფულის ღირებულების დაცემას. ამის მიზეზი ყველას მოეხსენება და მე არ გავაგრძელებ სიტყვას. თუ შედარებით მეთოდს ვიხმართ, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ჩვენი ფულის კურსი არც ისე დაცემული. მაგალ. საქართველოს ბონების ღირებულება სომხეთის ბონებთან შედარებით 4-ჯერ მეტია, ადერბეიჯ. 3 ჯერ და დონის ფულებთან—7½-ჯერ. **ჩვენი ფულის კურსის დაცემას დროებითი ხასიათი აქვს და იგი აიწევს მაშინ, როდესაც გამოსწორდება ჩვენი სავაჭრო ბალანსი.** მოგეხსენებათ, ბ—ბო, რომ საქონლის გაზიდვის დროს საზღვარ-გარეთ თვითეული სახელმწიფო ცდილობს გამოარკვიოს არა მარტო რაოდენობა შემოტანილ-გატანილ საქონლისა, არამედ მისი ღირებულებაც. როდესაც შემოტანილი საქონელი სჭარბობს გატანილს, მაშინ ამბობენ, რომ მისი სავაჭრო ბალანსი არ არის ხელსაყრელი. (неблагопріятный). აი ასეთი არა ხელსაყრელია ჩვენი სავაჭრო ბალანსი. თუმცა იმ ზარალს, რომელიც წარმოსდგება ასეთი ბალანსიდან, რამ-

*) ეს უკანასკნელი მდგომარეობს იმაში, რომ იგი ვერ გამოხატავს სავსებით ჩვენი ფინანსების სურათს.

# დღეს

**ბოლშევიკების ცნობით ინგლისის ფლოტი პეტროგრადის მიმართულებით გაიგზავნა.**

**ფრანგული ცნობით ლოიდ ჯორჯი უკანასკნელად იმ აზრისაა, რომ მოსკოვის მთავრობასთან დამოკიდებულების დროს საჭიროა იძულებითი ზომების მიღება.**

**ამერიკული ცნობით რუსეთ-გერმანიის კავშირს შეიძლება ანტანტის წინააღმდეგ ომის განახლება მოჰყვეს.**

—

**აგვისტოს 10. დღის 12 საათიდან სომხებსა და ს. ფ. რ. ს. რ. ჯარებს შორის შეწყდა სამხედრო მოქმედებანი, რუსეთის საბჭოთა ჯარები იკავებენ სომხეთსა და ადერბეიჯანს შორის სადავო ტერიტორიებს გარდა იმ ტერიტორიისა, რომელიც შეთანხმების ძალით სომხეთის რესპუბლიკის ჯარებმა უნდა დაიკავონ. სომხეთის რკინის გზის სამმართველოს ეძლევა საშუალება შახტახტა-ჯულფის რკინის გზის ექსპლოატაციისა, ამგვარათ, სომხეთი დაუყოვნებლივ დაუკავშირდება სპარსეთს რკინის გზით. (ჲ. ხ.).**

---

დენადმე ჰფარავს ის გარემოება, რომ ჩვენ სახელმწიფოს უჭირავს სატრანზიტო გზა, მაგრამ მისი სავაჭრო ბალანსი მაინც არ არის ნორმალური. გარდა სავაჭრო ბალანსის გამოსწორებისა, ფულის კურსის ასაწევად საჭიროა:

1. სახელმწიფოებრივი ეკონომია, რომელიც გამოიხატება ქაღალდის ფულის რაოდენობის შემცირებაში. ახლად დაარსებულ სახელმწიფო ბანკს შეუძლიან ამ საქმეში დიდი როლი ითამაშოს. მან უნდა თავი მოუყაროს ერთად ფულის ნიშნებს, რომელნიც ჭრავლად არიან გაფანტული ბაზარზე, და უკარნახოს თავის პირობები სპეკულიანტებს.

ჩვენმა სახელმწიფო ბანკმა უნდა შექმნას ვაჭრობა-ძრეწველობისათვის მტკიცე ფულის ბაზისი, და დაუკარგოს მას სპეკულიატიური ხასიათი.

2. ტრანსპორტის გაუმჯობესება.

3. იმპორტის შემცირება და სრულიად აკრძალვა ფუფუნების საგნების შემოტანისა.

4. ექსპორტის გაძლიერება.

[illegible]

დგინეთ გეგმა. ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენს ხანაში ძველი გზით სიარული ყოვლად შეუძლებელია. აუცილებლათ უნდა შესდგეთ ახალ გზაზე ორივე ფეხებით. ახალი გზა კი არის: გზა კოლექტივიზაციისა. თქვენი ხაზი კი არსებითად რეაქციონური ხაზია, მას ახლა არავინ არ იზიარებს, გარდა რეაქციონერებისა. ჩვენში არც ერთ დარგში არაფერი არ გაკეთებულა, ავიღოთ თუ გნებავთ სასურსათო საქმე. სასურსათო დარგს საერთოდ დიდი მნიშვნელობა აქვს (ვ. თევზაია: ეს ზურგიელიძის აზრია) გაკეთდა ამ დარგში რამე? (ჯულელი: სინდისზე დაიდევი ხელი და ისე სთქვი, ლეო). ამ საკითხს სოც დემოკრატიამ საკითხთა საკითხი უწოდა, მაგრამ გვაქვს თუ არა რამე? არა გვაქვს. (თევზაია: „შეიჭამა, შენც სჭამდი“). აქ მომარაგების მინისტრის ამხანაგი გამოვიდა და ლაპარაკობდა, როგორც ერთი ვაჭარი. ის ამბობდა, რომ ეს სამინისტრო ვაჭრულია, კომერციული დაწესებულებაა და სხვანაირი [illegible]

[illegible]

განაგრძობს. ჩვენებმა წამოიყვანეს ტყვეები. ხელთ იგდეს ტყვიისმფრქვეველები, თოფები და სხვა სამხედრო მასალა. ჩვენმა ჯარმა ვერხნოე-ტოვშავი აიღო.

გუშინ ჩვენი ჯარის მიერ დაკავებულ მალკინსა და ვარშავას შორის მატარებლით სამი საათის სასიარულოა.

**ინგლისის ფლოტი პეტროგრადის მიმართულებით.**

ვარშავის დასაცავად მოკავშირეებმა ინგლისის ფლოტი გამოგზავნეს პეტროგრადის მიმართულებით. ანტანტას სურს პეტროგრადის წინააღმდეგ აამხედროს ფინეთი და მას ინგლისის ფლოტით დაეხმაროს.

**ზინოვიევის წერილი.**

პეტროგრადის გაზეთებში ზინოვიევი სწერს: „პეტროგრადს ყოველთვის ესმოდა, რომ იგი საბჭოთა რესპუბლიკის მოწინავე პოსტია. დავინახავთ, გაბედავს, თუ არა ანტანტა განახორციელოს თავისი მუქარა და გაბედავს თუ არა თეთრი ფინეთი პიტერზე შეტევას, როდესაც იგი ხედავს, თუ როგორ დაიღუპა პოლონეთი“. ზინოვიევი მოუწოდებს კრონშტადტის წითელი ფლოტის მეზღვაურთ, საზღვარზე მდგომ წითელ არმიელებს, პეტროგრადის მუშებსა და მუშათა ქალებს ფრთხილათ იყვნენ. და ამასთანავე იგი სრულს იმედს გამოსთქვამს, რომ გამარჯვება რუსეთს დარჩება.

**ტყეების დაწვა.**

მრავალი ადგილიდან მოდის ცნობები ტყეების დაწვის შესახებ. მუშებს, გლეხებს და ყველა მოქალაქეს უნდა ახსოვდეს, რომ უბრალო გაუფთხილებლობა სახალხო ქონებას განადგურებას უქადის.

**პოლონეთის გარშემო.**

**ლონდონი.** მოსკოვიდან გამოგზავნილი რადიოდეპეშა. ისინი მივიდენ იმ დასკვნამდი, რომ ბოლშევიკების მთავრობა ცდილობდა დროს მოგებას, რათა დაეკავებია ვარშავა და პოლონეთში კომუნისტური მთავრობა შეექმნათ. მათ მოუხდათ ზომების გადასინჯვა... (დამახინჯებულია)... სამხედრო ექსპერტებს დაავალეს შეადგინონ პატაკი საქმის მდგომარეობის შესახებ: ამას ხვალ დილით გაეცნობიან. ამირბარი ბიტი მონაწილეობას ღებულობდა მარშალ ფოშსა და ვილსონთან მოლაპარაკებაში და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბრიტანეთის მოქმედება უკვე აშკარაა.

მილიერანის წასვლა გადადებულია ორშაბათისათვის. ლოიდ-ჯორჯი ემზადებოდა განცხადებისათვის და ისიც გადადებულია... (დამახინჯებულია)... საბჭოების მდგომარეობის მერყეობამ ლოიდ ჯორჯი დაახლოვა საფრანგეთის თვალსაზრის. ახლა ისიც იმ აზრისაა რომ მოსკოვის მთავრობასთან დამოკიდებულებაში საჭიროა იძულებითი ზომების მიღება. წინათ ასეთი ზომების მიღებას გაურბოდა ინგლისის პრემიერი. მოკავშირეები აუცილებელ საჭიროებად სცნობენ პოლონეთის არსებობას ევროპაში მშვიდობიანობის დასამყარებლად.

**დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთთან**

პრესაში მოყვანილია გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრის წალაპარაკევი ერთ ჟურნალისტთან. მას უთქვამს: საბჭოთა რუსეთთან საქმიან და დიპლომატიურ დამოკიდებულებაზე უარის თქმის შემდეგ, მე სიამოვნებით ვეგებები გერ-

[illegible]

მთავრობისაგან, ერთს მეპატრონეთაგან და ერთს მუშებისაგან. პირველი კონფერენცია შესდგა ვაშინგტონში 1919 წლის ნოემბერში, მეორე—გენუაში, რომელზედაც საზღვაო საკითხები განიხილეს. თითეულ სახელმწიფოს ევალება წლის განმავლობაში შეიტანოს თავის პარლამენტში სარატიფიკაციოთ კონვენციების პროექტი, რომელთაც კონფერენციაზე კენჭი ეყარა. ეს კონფერენციები კენჭს არ უყრიან კანონებს, იმიტომ რომ არსებობს ეროვნული სუვერენიტეტი, მაგრამ ისინი იღებენ კონვენციის პროექტს, რომლების რატიფიკაციაც შემდეგ უნდა მოხდეს. იმ სახელმწიფოებს, რომლებიც რატიფიკაციაზე უარს განაცხადებენ, უსიამოვნება შეხვდებათ. მათ არ გაუგზავნიან პურს (გამოტოვებულია)... ბიუროს პირველ სამუშაოს წარმოადგენს ამგვარათ მიღებულ კონვენციათა გადაცემა მთავრობებისათვის სარატიფიკაციოდ.

**ამერიკული ცნობები.**

**გერმანია იცინის.**

იმ დროს, როდესაც რუსები ზარბაზნის ტყვიით ვარშავის კარებს ურაკუნებენ, გერმანია იცინის. მას უხარია, როდესაც უყურებს, რომ საფრანგეთ ინგლისის გეგმები იმსხვრევა. გერმანიამ შესძლო ყველაფრის მოგება, მას არაფერი არ წაუგია. ასეთია ამ საკითხზე საზოგადოების აზრი. თუ ბალშევიკების რისხვა არ ასცდა პოლონეთს, გერმანია სადაც იდგა, იქ დადგება. ბალშევიკების გამარჯვება, მიუხედავათ იმისა, გერმანია გახდება თუ არა რუსეთის მეგობარი, მის მდგომარეობას მაინც ამტკიცებს და ამაგრებს. ახლა გერმანის მთელი ენერგია ნეიტრალიტეტის დაცვას უნდება. უკიდურესნი ნეიტრალიტეტის დაცვით რუსეთს უწევენ მეგობრობას, ხოლო კონსერვატორები კი მას მხარს უჭერენ ანტანტისაგან მოსალოდნელ ძალმომრეობისგან თავდასაცავათ.

ნეიტრალიტეტის მტკიცე დაცვით გერმანია ფიქრობს, რომ პოლონეთის ომი მისთვის სასურველად დასრულდება. რუსეთის გამარჯვება გერმანიის სასარგებლო სიტუაციას შექმნის და შესაძლებელს გახდის გერმანიასა და რუსეთს შორის სამხედრო კავშირს შექმნის. რუსეთ-გერმანიის კავშირს შეიძლება ის შედეგი მოყვეს, რომ ანტანტის წინააღმდეგ ომი განახლდეს და ვერსალის ხელშეკრულება უარყოფილი იქმნას. ეს არის საოცნებო საგანი მილიტარისტთა მცირე ჯგუფისა. გერმანიას ანტანტის ერები ომისათვის მოღლილი მიაჩნია. თავის მხარეზე ასეთი უპირატესობის შეგნება მიზეზია იმისა, რომ საფრანგეთ-ბრიტანეთის მუქარაზე იცინის იგი, გერმანია ფიქრობს, რომ რუსეთის საწინააღმდეგო სამხედრო ექსპედიციაში მოკავშირეებს ხელს შეუშლის მოსალოდნელი აჯანყება, დეზერტირობა და რევოლიუცია.

**გერმანიის ნეიტრალობის საკითხი.**

ბერლინის პრესის საჭირ-ბოროტო საკითხი ნეიტრალიტეტის საკითხია. ამ საკითხს აცხოველებს ხმები საზღვარზე მოკავშირეთა ჯარების გადმოყვანისა და საომარი მასალის გადმოზიდვის შესახებ. გაზეთი „ფოსიშე ცაიტუნგი“ სწერს: „ნუ დაუჯერებთ ხმებს, თითქოს საფრანგეთს და ინგლისს განზრახული ჰქონდეთ ჩვენი ნეიტრალიტეტის დარღვევა. მიუხედავათ ამისა მთავრობამ ეს უნდა აცნობოს ხალხს. ნეიტრალიტეტის დაცვის მიზნით მუშათა მიტინგებმა ეს საქმე მთავრობას უნდა მიანდოს. „ლოკალ ანცაიგერი“ ეხება გერმანელ და რუს კომუნისტების დამმობილებას და სწერს: ეს აიძულებს ფოშს მოითხოვოს გერმანიის სრული განიარაღება. გაწმენდილი გერმანია საუკეთესო საომარი ოპერაციების ასპარეზი იქნება. ესაა შინაარსი ანტანტის მიერ განიარაღების მოთხოვნისა. გერმანიის მუშებმა გადასწყვიტეს არ გაუშვან თავის ტერიტორიაზე ანტანტის ჯარის ტრანსპორტი. მაგრამ, როდესაც ჩვენს საზღვარს მოადგება მათი დიდძალი ჯარი საკუთარი რკინის გზის მოსამსახურეებით, მაშინ ყოველგვარი წინააღმდეგობა ამაოა და გერმანიის ნეიტრალიტეტიც დაირღვევა. მაშინ თავს დაგვატყდება ის უბედურება, რომლიდანაც დაგვიხსნა რევოლიუციამ. უცხოეთის ჯარების გავლა, რეკვიზიცია, საფრანგეთის თეთრი და შავი ჯარისკაცების სიმკაცრე დაკავებულ ტერიტორიაზე გერმანიას გახდის ევროპის ომის ასპარეზად. მხოლოდ ერთს შეუძლია ჩვენი ხსნა: რუსეთ-პოლონეთის ზავს. ეს შესაძლებელია, თუ საფრანგეთმა თავის ჩარევით არ გაახანგრძლივა ომი. საფრანგეთს იმედი აქვს, რომ რუსეთის ძალები მალე დაიწურება. მას ავიწყდება, რომ ნაციონალური ომი ეს სასიცოცხლო ელექსირია საბჭოთა რუსეთისა.

---

## საქ. დემ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

**ქართველ-სომეხთა დამოკიდებულება.**

**ერევანი.** აგვისტოს 8, სომხეთის პრემიერ-მინისტრმა პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში ილაპარაკა ქართველთა და სომეხთა დამოკიდებულების შესახებ. სომხეთა და საქართველოს კონფერენციამ უკვე დაიწყო მუშაობა, სასამართლოების შესახებ დაიდო ხელშეკრულება. ეხლა ვიხილავთ ტერიტორიალურ საკითხს. იმედი გვაქვს ჩვენი მოლაპარაკება საქართველოსთან სასურველათ დასრულდება და მუდმივი მეგობრება, რომელთაც გვაკავშირებს საერთო კულტურა და გვყავს საერთო მტერი, ბოლოს გავიგებთ ერთმანეთს. მწამს, რომ საქართველოს მთავრობა და ქართველი ხალხი იზიარებს ამ რწმენასო. შემდეგ ორატორი შეეხო სომხეთის დამოკიდებულებას საბჭოთა რუსეთთან და ადერბეიჯანთან. აღნიშნა, რომ ადერბეიჯანში 500 სომეხია დაპატიმრებულიო.

**ბათომი.** აგვისტოს 10 (საქ. კორ.) მიღებულია გენერალ ვრანგელის ოფიციალური ცნობა. ჩვენი ჯარი ესვრის მტერს ზემო რაზდოლისა და პოლიტის რაიონში. დასავლეთით ჩვენი ჯარი პოლოგოჩაკლინის რკინის გზის ჩრდილოეთით გავიდა. დნეპრის ფრონტზე კახკაროვასთან ჩვენმა ჯარმა მტერი უკუაქცია. გაძლიერებული სროლაა ლიპატისსა და ოლეშკთან.

მტერმა მეორეჯერ სცადა ჩვენი წინსვლის შეჩერება, მაგრამ სრულებით გავანადგურეთ, მიუხედავათ იმისა, რომ მან ჯარის ნაწილები პოლონეთისა და კავკასიის ფრონტიდან გადმოიყვანა.

ფინანსთა სამმართველოს უფროსი პროფესორი ბერნადსკი იუწყება: პარიზსა და ლონდონში მოლაპარაკება საემისიო ბანკის დაარსების შესახებ სასურველად დასრულდა.—სიძვირესთან მებრძოლმა კომისიამ იალტაში ასეთი ფასები დააწესა: ბოთლი რძე 300 მან. გირვ. ხორცი 800 მ. შემწვარი ხორცი გირ. 1000 მ. პამიდორი გირ. 200 მ. კომბოსტო გირ. 300 მ. კიტრი 50—80 მ. სევასტოპოლი კატასტროფის წინაშე სდგას. ამ ოთხი დღის განმავლობაში წყალი არ იშოვებოდა. მოსალოდნელია შავი ჭირისა და ხოლერის გახსნა.

**ერევანი,** ავგ. 9. პარლამენტში წარმოთქმულ თავის სიტყვაში პრემიერმა სხვათაშორის განაცხადა: ოლთისისა და ყარსის ოლქებში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქვანახშირის მდიდარი რაიონი, რის გამოც სომხეთს შეუძლია თავისი დამოუკიდებელი ეკონომიური პოლიტიკის წარმოება. რესპუბლიკის შინაურ მდგომარეობის შესახებ პრემიერმა სხვათაშორის სთქვა, მიუხედავათ კარგი მოსავლისა პური გვეყოფა მხოლოდ 8 9 თვეს მთავრობა ზომებს ღებულობს მცხოვრებთა სურსათით უზრუნველსაყოფად. ფინანსიური საკითხის შესახებ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამორჩეულია საგანგებო კომისია გადასახადის სისტემის გადასაშინჯავად. სომხეთის მთავრობა ენერგიულად მუშაობს განათლების საქმეშიც. უნივერსიტეტი გუმბრიდან გადმოგვაქვს ერევანში, ვფიქრობთ გავხსნათ ახალი ფაკულტეტები. მთავრობა გაძლიერებულად მუშაობს სასამართლოს საკითხების მოსაწესრიგებლად. შემოღებულია საგანგებო სასამართლოები და და ინტენსიური ბრძოლა სწარმოებს სპეკულიაციასთან. ხდება კანონების ნაციონალიზაცია. სპარსეთთან სავაჭრო კავშირის დამყარების შემდეგ შახტახტასა და ჯულფაში საბაჟოები გაიხსნება.

საგარეო საქმეთა პოლიტიკის შესახებ პრემიერმა განაცხადა: სხვა სახელმწიფოებთან ერთად ჩვენ ხელი მოვაწერეთ იმ ხელშეკრულებას, რომელზედაც ოსმალეთს ხელი უნდა მოეწერა ივლისის 29. არბიტრათ ხელშეკრულების თანახმად გამოდის ვილსონი, რომელმაც უკვე თანხმობა გამოაცხადა. ეს ხელშეკრულება ჩვენთვის მეტად ხელსაყრელია: სომხეთის ეხლანდელ ტერიტორიას ემატება ვანის, ბითლისის, ტრაპიზონის და არზრუმის ვილაიეტებიო.

**ბათომი.** აგვისტოს 10. ინგლისის ნაღმოსანმა „ცენტავრმა“ აგვისტოს 9 მიიღო ვრცელი რადიო ლონდონიდან რუსეთ-პოლონეთის დამოკიდებულების შესახებ. რადიოს ცნობით აგვისტოს 7 კონფერენციამ რუსეთ-პოლონეთის ზავის საკითხი გადაწყვეტას დაუახლოვა. მოხდა თათბირი კრასინისა და კამენევისა ინგლისის კაბინეტთან. თათბირის შედეგს მოსკოვს აცნობებენ. ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: მილიერანს უნდა მოველაპარაკო და შემდეგ გამოვალ თემთა პალატაში სათანადო განცხადებითო. „დეილი ქრონიკლი“ იუწყება; ლონდონის თათბირის უმთავრესი მიზანი რუსეთ-პოლონეთს შორის სამხედრო მოქმედების შეწყვეტა იყო. მიუხედავათ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელთა შეურიგებლობისა, კრასინის ლოიდ ჯორჯთან მოლაპარაკების დროს მაინც გადასწყდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხიო“. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით ლოიდ ჯორჯი შეეკითხა თათბირზე კამენევსა და კრასინს: გესმით, თუ არა საბჭოთა რუსეთის პასუხისმგებლობა დღევანდელ მომენტში და თუ გესმით, მზათა ხართ თუ არა მიიღოთ ყოველი ზომა ნორმალურ დამოკიდებულების აღსადგენათო? თავის მხრივ ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: ბოლშევიკების ლაპარაკი ხალხის მშვიდობიანობისა და ბედნიერების შესახებ გულწრფელი არააო.

**ბათომი.** აგვ. 8. (საქ. კორ.) თფილისის მუშათა წარმომადგენლებს დიდის ზეიმით შეხვდნენ შეპელიევის ქუჩაზე, სადაც გამართული იყო ტრიბუნა. თბილისის პროლეტარიატს მიესალმა აიოლლო, რომელმაც აღნიშნა, რომ ბათომის მუშები თბილისელ სტუმრების სახით მიესალმებიან საქართველოს პროლეტარიატის ავანგარდს, რომელმაც დიდი რევოლიუციის მონაპოვარი საოცარის ძალით შეინარჩუნა და თავის მხარეში ნამდვილი დემოკრატიული წესწყობილება დაამყარა. დღეიდან საერთო საქმისათვის თფილისის პროლეტარიატთან ერთად იმუშავებს ბათომის პროლეტარიატიო. საპასუხო სიტყვაში ხელაძემ აღნიშნა, რომ ბათომის შემოერთება არის საქართველოს მუშათა და გლეხთა ბრძოლის შედეგი, მათ თავისი გმირული ძალით მოაწყვეს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც თავისივე წრიდან აირჩია მთავრობა, დამცველი ხალხის ინტერესებისა. იმავე დღეს რკ. გზის თეატრში შესდგა საზეიმო სხდომა, რომელზედაც ხელაძე აირჩიეს საპატიო თავმჯდომარეთ. კრება გახსნა აიოლომ. ხელაძემ ილაპარაკა რა საქართველოს მუშათა ტაქტიკის შესახებ, განაცხადა: საქართ. პროლეტარიატი სოციალიზმისაკენ თავის მისწრაფებაში მეცნიერულ ნიადაგზე სდგას. ეს განმათავისუფლებელი მოძრაობა უნდა დაიწყოს კაპიტალისტურ ქვეყნებში და არა ჩამორჩენილ ქვეყნებში, როგორიც არის ოსმალეთი, ადერბეიჯანი და სხვა. ნ. ჟორდანიას ისტორიული სიტყვები, მართლდება, ჩვენ დემოკრატიის გზით მივდივართ სოციალიზმისაკენ. საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა აიოლომ, რომელმაც აღნიშნა ბათომისა და თფილისის მუშათა სოლიდარობა.

---

**საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიულეტენი.**

**გერმანიის მისია სევასტოპოლში.**

**თეოდოსია.** 30 ივლისი. გაზ. „კრიმსკაია მისლი“ იუწყება: 23 ივლისს სევასტოპოლში მოვიდა გერმანიის სამხედრო და სავაჭრო მისია მარშალ ეიხჰორნის ყოფილ ადიუტანტის კაპიტან კირხნერის მეთაურობით. მისიასთან ერთად ჩამოვიდა 1000-მდე რუსის აფიცერი იუდენიჩის, ბერმონტის და ბრედოვის არმიებიდან.

**სუვორინის აღსარება.**

**თეოდოსია.** 30 ივლისი. ბორის სუვორინი გაზ. „ვეჩერნეე ვრემიას“ მოწინავე წერილში სწერს: „ოფიციალური ინგლისს ჩვენი მეგობრობა არა სურს, მისი აღიარების ეშინია ოფიციალურ საფრანგეთს, გერმანიის მეგობრობა არა გვწამს. ოფიციალური პოლონეთი და საქართველო თავს იწონებენ და კეკლუცობენ“.

მეორე წერილში ბორის სუვორინი ეხება ყირიმის „საერთაშორისო“ მდგომარეობას და ამბობს.

საქართველო, რომლის მთავრობასაც არა უშავს რა, თუმცა კი თავით ფეხებამდე გაჟღენთილია არაგულწრფელობით და მზაკვარ ალბიონისადმი მიმბაძველობით, უკანასკნელ ცნობებით იწყებს ჩვენსკენ მოწყალების თვალით ყურებას. ამაში გასაოცარი არაფერია. ამაზე ჩვენ ვწერდით და ვწინასწარმეტყველობდით.

**მღელვარება ჩინეთში.**

**პეკინი** 23 ივლისი. მდგომარეობა გამწვავდა ქალაქის ჭიშკრები დაკეტილია. ეშინიათ, ჯარისკაცების საერთო თავდასხმის სატახტო ქალაქის ასაღებათ.

**საბჭოთა ყრილობა**

**კავკაზი.** 8 აგვისტო. საბჭოთა ყრილობის დღის სხდომაზე 6 აგვისტოს დაღესტნის ხალხის სახელით მიესალმა ყრილობას ამხ. სეით გაბიევი, რომელმაც სთქვა, რომ დაღესტანის მშრომელთა მასა ძმურ ხელს უწვდის თერგის პროლეტარიატს.

**მოსავალი.**

**ბაქო.** 10 აგვისტო. განჯის, შამქორის, თაუზის და ყაზახის მაზრებში პირნახული უკვე გაიჭრა. ხორბალი მტკიცე ფასებში გადადის სასურსათო ორგანოების ხელში.

**საზავო მოლაპარაკება პოლონეთთან.**

**მოსკოვი.** 9 აგვისტო. (მოსკოვიდან ვარშავაში ფრანგულ ენაზე გაგზავნილ რადიოს ნაწყვეტი) ატმოსფერიულმა მოვლენებმა ხელი შეუშალეს პოლონეთ-რუსეთის მოლაპარაკებას (რადიოთი). როგორც კი სადგურმა განაახლა მუშაობა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა 7 აგვისტოს ნაშუადღევის 2 ს. და 24 წ. შეეკითხა პოლონეთის მთავრობას, რატომ საბ-

ქოთა მთავრობის წინადადებაზე პასუხს არ იძლევიან. „ჩვენ ვღებულობთ ცნობათ თქვენ თანხმობას დროებით ზავზე და წინასწარ საზავო მოლაპარაკების დაწყებაზე, რაც სავსებით ეთანხმება ჩვენი 23 ივლისის წინადადებას. ჩვენი დელეგაცია მინსკში მოვა 11 აგვისტოს. თქვენი რწმუნებულები გადმოვიდნენ ფრონტს სედლეც-მეჟერიჩიე-ბრესტლიტოვსკის ნაწილში 10 აგვისტოს, საღამოს 6 ს.

## მცირე შენიშვნა

(საბჭოთა მისიის ცნობის გამო)

დღევანდელ ჩვენს გაზეთში მკითხველი ამოიკითხავს საქართველოში არსებულ საბჭოთა მისიის ცნობიდან „სუვორინის ალსარებას"—თითქოს საქართველოს მთავრობას რაღაც კავშირი ჰქონდეს გენ. ვრანგელთან და სხ.

უკანასკნელ ხანებში, როგორც იქაური, ისე აქაური ბოლშევიკები ნიადაგს შინჯავენ ერთგვარი, მათთვის ხელსაყრელ სიყალბის გამოსაგორებლათ.

ეს არის დამტკიცება იმისი, რომ საქართველოს გადაწყვეტილი აქვს გენ. ვრანგელთან ერთად ბოლშევიკების წინააღმდეგ მოქმედება.

ამ მიზნით იყო მოთავსებული ამას წინად სასნოვსკის წერილი „პრავდაში" საქართველოს ვითომ კონსულის გენ. ვრანგელთან მოლაპარაკების შესახებ. ეს ცნობა ჩვენმა საგარეო სამინისტრომ უარყო.

ახლა მეორე გვარი ცნობა გამოატყვრინეს ბოლშევიკებმა თავიანთი ოფიციალური მისიის ფირმით: ეს არის ცნობილი შავრაზმელის სუვორინის წერილი, ქათინაურებით სავსე საქართველოსადმი...

და ამითაც სურთ ბ.ბ. ბოლშევიკებს იმის თქმა, რომ საქართველოს მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს სუვორინ-ვრანგელთანო.

ჩვენ კი ვამბობთ: არავითარი მოლაპარაკება, რა თქმა უნდა, არ სწარმოებს, მაგრამ თუ სუვორინი მაინც ასეთი კილოთი სწერს, მისი მიზანი აშკარაა: ან დააშინოს ბოლშევიკები, რომ საქართველოსთან გვაქვს კავშირიო, ან პირდაპირ წაუსისიანოს ბოლშევიკები საქართველოს დასანგრევათ.

პირველ შემთხვევაშიაც მოგებული იქნებიან რუსეთის შავრაზმელები, მაგრამ არც მეორე შემთხვევაში დარჩებიან წაგებულნი:

მათთვის განა სულ ერთი არ არის, ვინც დაანგრევს საქართველოს?!

მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ თუ გადაფხეკთ რუს-კომუნისტს, მიიღებთ რუს-შოვინისტს!

ამიტომ ჩვენ ვამბობთ: საქართველოს წინააღმდეგ თავისუფლად შეერთდებიან რუსი შავრაზმელები და კომუნისტები...

ბოლშევიკები კი გამოლმა გვედავებიან.

გ. მ.

## ახალი ამბები

დამფუძნებელ კრების სხდომა შესდგება დღეს დილის 10 საათზე.

**მიწადმოქმედების სამინისტრომ** დამფ. კრებაში დაბალ და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების პროექტი წარადგინა. კანონპროექტი ითვალისწინებს თითო თითო საშუალო სამეურნეო სასწავლებლის გახსნას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში. გარდა ამისა, ერთი შკოლა უნდა გაიხსნას საშუალო ზონაში და ერთიც კახეთში. ამ გეგმის განსახორციელებლად მიწადმოქმედების მინისტრს განზრახვა აქვს გადააკეთოს თფილისში არსებული საშუალო კულტურულ-ტეხნიკური შკოლა სამეურნეო შკოლად მეჴინდვრეობის, მებაღეობის, მესაქონლეობის და ჰიდროტეხნიკურ განყოფილებებით. ასეთივე ტიპის სასწავლებლად უნდა გადაკეთდეს ქუთაისის დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. სწავლის ვადა 1 წელიწადი იქნება. სპეციალური განათლება მხოლოდ მეოთხე სემესტრიდან უნდა დაიწყოს. მანამდი კი მოწაფეებმა საერთო განათლება უნდა მიიღონ. (დ. ს.).

**ქალაქის საბჭოში.** აგვისტოს 9 ა. ლომთათიძის თავმჯდომარეობით შესდგა ქალაქის საბჭოს სხდომა. დაადგინეს: ხოლერასთან საბრძოლველად გადაიდოს მილიონი მანეთი. მიიღონ ქალაქის საბჭოს მოხსენება სასტუმრო ოთახებისა და გასტრონომიულ მაღაზიების მეპატრონეებზე გადასახადების გადიდების შესახებ. გასტრონომიულ მაღაზიას გაეწერება 25,000 მან. საქალაქო გადასახადი, სასტუმრო ოთახების მეპატრონეთ კი 50.000 მან. (დ. ს.)

**მუშათა მაგიდა.** მუშათა მაგიდა აცხადებს: ახალი სიები და ბარათები წარდგენილი უნდა იქნეს ჯგუფობით: 1—10 ჯგ. აგვისტოს 10-მდე, 10—20 ჯგ. აგვ. 11, 20—30 ჯგ. აგვ. 12, 30—40 ჯგ. აგვ. 13. 40—50 ჯგ. აგვ. 14, 50—60 ჯგ. აგვ. 15, 60 70 ჯგ. აგვ. 16, 70—80 ჯგ. აგვ. 17, 80—90 ჯგ. აგვ. 18 99—100 ჯგ. აგვ. 19, 100—120 ჯგ. აგვ. 20-მდე. (დ. ს.)

**პურის კანტორა.** აგვისტოს 9 გაიხსნა პურის კანტორა, რომელშიც შედიან სასურსათო განყოფილებისა და პურის მცხობელთა ამქრის წარმომადგენლები.

**პურის მაზანდა** 9 აგვისტოს თფილისში ასეთი იყო: ქერი შავი, ფუთი 550—600 მან., თეთრი—600—800 მან. 1100 მანეთამდე. (დ. ს.)

**სესხი კოოპერატივებს.** საქართველოს კოოპერატიულ ბანკს სახელმწიფო ბანკში 5 მილიონ მანეთის კრედიტი გაეხსნა საკრედიტო და შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობებსა და მათ კავშირებისათვის სესხის მისაცემათ.

**ერობათა კავშირში.** მიწადმოქმედების სამინისტრომ აუწყა ერობათა კავშირის კომიტეტს, რომ მას საექსპლოატაციოდ გადაეცა აჭარისა და ქობულეთის სააგარაკო ტყეები. ერობათა კავშირის კომიტეტს მიეცა უფლება მისთვის საჭირო სატყეო მასალის დამზადებისა და გამოტანისა.

**თავდასხმა** 8 აგვისტოს, საღამოს 9 ს. როდესაც გარეჯნის თემის თავმჯდომარე გ. მ. კილოსანია ბრუნდებოდა სოფ. დიღომიდან, თავს დაესხა, თფილისიდან 4 ვერსზე, 5 შეიარაღებული გვარდიელების ტანისამოსში; მისი ეტლი გააჩერეს და გაჩხრიკეს. წაართვეს 4,700 მ. და რევოლვერი.

**დაჭრილების საყურადღებოთ.** დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა აცხადებს თავის წევრების საყურადღებოთ, რომ ვისაც სურვილი აქვს წყლებით და ტალახებით ექიმობისა, ევალებათ საჩქაროთ გამოცხადდნენ კავშირის სამმართველოში. (პლეხანოვის პრ. № 139).

**ავჭალის აუდიტორია** აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ, რომელთაც შესწირეს ნივთები ან ფულად გასამართავ სეირნობა-ლატარიისათვის ავჭალის აუდიტორიის სასარგებლოთ, რომ სეირნობა გადაიდო აგვისტოს ბოლო რიცხვებისათვის.

**მუშათა ცენტრალურ კლუბში** დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება საზოგადო კრება მე 2 რე რაიონის საქ. სოციალ-დემოკ. მუშ. პარტიის კოლექტივის წევრთა: მოხსენებას გააკეთებს ადერბეიჯანიდან ახლად დაბრუნებული ამხ. ვლ. ბაქრაძე. პარტიული ყრილობის მუშაობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. ბ. თევზაია. ამხანაგებს სთხოვენ დაესწრონ და ნუ დაიგვიანებენ.

**რკინის გზელთა პროფესიონალურმა კავშირმა** დედობის და ბავშვობის დამცველ საზოგადოებას შესწირა 10 ათასი მანეთი, რისთვისაც საზოგადოება ულრმეს მადლობას სწირავს კავშირს.

**ს. მეჯვრისხევში მიემგზავრებიან** კვირას, 15 მარიამობისთვეს დამფუძნებელ კრების წევრნი: ისიდორე რამიშვილი, ივანე ტატიშვილი და გიორგი გაგლოევი, რომლებიც სახალხო ყრილობაზე გააკეთებენ მოხსენებას საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. იქავე მიდის სააგრარო საგანგებო კომისია სარევიზიოდ.

**საგანგებო ბატალიონის კულტურულ განმანათლებელ სექციის** მიერ შაბათს 14 აგვისტოს დ. ცხინვალში გამართული იქნება უფასო წარმოდგენა გვარდიელების და ჯარისკაცებისათვის. წარმოდგენილ იქნება 3 მოქ. კომედია ვ. გუნიასი „სიძე სიმამრი". კვირას გაიმართება ფასიანი საღამო ცეკვით ადგილობრივ მოქალაქეთათვის, წარმოდგენილი იქნება „დედა და შვილი", „მღაროს უფროსი მუშა" და „მკვდრები სდგებიან". სექციის ცხინვალში თან გაჰყვება სამხედრო მუსიკა.

**მე-7-დე რაიონული კოლექტივის პრეზიდიუმი** ს. ს. დ. მ. პ. აცხადებს, რომ ვინც 15 დღის განმავლობაში გასული თვეების გადასახადს არ შემოიტანს, თანახმად წესდებისა ამორიცხულ იქნებიან წევრობიდან. კოლექტივი ღია არის დილის 9 საათიდან—საღ. 3 საათამდე.

**ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტი.** რუსთა ეროვნულ საბჭომ დაადგინა მიიღოს თავის გამგებლობაში „ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტი" და აღმოუჩინოს მას ფართო დახმარება.

**სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება.** თფილისში არსდება სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება; უკვე მიმართეს ერობათა კავშირის კომიტეტს და სხ. დახმარებისათვის. (დ. ს.).

**საქონელი მოქალაქეთათვის.** ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებამ ფოთიდან 100 მილიონ მანეთის სხვადასხვა საქონელი მიიღო. ამ მოკლე ხანში განაწილდება და გასაყიდათ დარიგდება თეთრეულობა, ფეხსაცმელები, მაუდი ბავშვებისა და ქალებისათვის და სხვა, შეძენილია აგრეთვე მცხოვრებთათვის 1 მილიონი კოლოფი ასანთი. (დ. ს.).

**პურის კანტორა აუწყებს** მოქალაქეთ, რომ მაიდანზე გაიხსნა კანტორა და მერმისათვის განზრახულია ამგვარი კანტორის ყოველ პუნქტში გახსნა. ვისაც ხორბლეულობის შეძენა სურს, შეძენამდე ცნობისათვის კანტორას უნდა მიმართონ. (დ. ს.)

**სასურსათო ოპერაციები.** თფილისის სამაზრო ერობის გამგეობამ დაადგინა სასურსათო ოპერაციების გასაფართოებლად 10 წლის ვადით მთავრობას $3^1/_2\%$ სესხი სთხოვოს.(სდს).

**დუშეთიდან** შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „ამ ბოლო ხანებში დათარეშობდა ყაჩაღთა ბრბო ანანურ-ფასანაურის ახლოს ხეობაში, რომელიც თავზე ესხმოდა საქართველოს სამხედრო გზაზე ავტომობილებს. მგზავრებს და მცხოვრებლებს აწიოკებდა. დაუყოვნებლივ იქნა გაგზავნილი მილიციელნი ყაჩაღების შესაპყრობად, მილიციის უფროსის თანაშემწის ანთელავას და ფასანაურის თემის მილიციის უფროსის ნაზღაიძის ხელმძღვანელობით. ხუთი დღის დევნის შემდეგ მიაგნეს ქვალს ექვსს ივლისს სოფელ ზემო-ხორხში (დუშეთის მაზრაში) მილიციას მოუხდა მათთან შეტაკება. მოკლულია ივანე ბურდული, ყოფილი მილიციელი, და დაჭერილია მახრა ჯირკალიძე, გიორგი ჯირკალიძე, ნიკო კოწინაშვილი და ფილიპე მაღურაშვილი. გაიქცა ბიწინწურა კოწიაშვილი. უკანასკნელის შესაპყრობათ მიღებულია ზომები. მილიციის მხრით არავინ დაშავებულა".

**სტუდენტთა კოოპერატივი „ჩვენი ოჯახი"** პლეხანოვის პროსპექტიდან გადმოვიდა რუსთაველის პროსპექტზე ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების პირდაპირ.

კ რ ე ბ ე ბ ი.

დღეს, 11 აგვისტოს, საღამოს 6 ს. ორთაჭალის მუშათა კლუბის საზაფხულო შენობაში დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მე-6 რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება. მოხსენებას პარტიული ყრილობის შესახებ გააკეთებს ამხ. ი. ირემაშვილი.

— დღეს, 11 აგვისტოს საღ. 7 ს. თფილის საქონლის სადგურის პროფ. კავშირის ბინაზე შესდგება ახალ არჩეულ კულტურა-განათლების კომისიის სასწრაფო სხდომა.

**პროვინციის ქრონიკა.**

**სამტრედია.** პარასკევს, 13 აგვისტოს დილის 10 ს. დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. სამტრედიის რაიონულ კომიტეტის კრება. კომიტეტის წევრთ სთხოვენ გამოცხადდნენ დანიშნულ დროზე.

**შეცდომის გასწორება.** სახალხო გვარდიის კონფერენციის მისალმებებში, რომლებიც გუშინ დაიბეჭდა, მესამე მისალმების მეორე აბზაციდან სათაურად უნდა იყოს: „საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ კავშირებს".

## საფრანგეთის პრესა ბათომის საკითხის შესახებ.

გაზეთი „ტანი" ვრცელ წერილს უძღვნის ბათომის საკითხს. ამ წერილს დღეს საქართველოსათვის მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მაგრამ წერილი დამახასიათებელია საფრანგეთის ხალხის დამოკიდებულების, როგორც ბათომის ოკუპაციის საკითხთან, ისე საქართველოს უფლებასთან ბათომსა და მის ოლქზე. წერილის ავტორი ამბობს, რომ ბათომის საკითხი გახდა „მოდის" საკითხად. ბათომი ინგლისელებს უკავიათ, მაგრამ ამ ნავთსადგურზე ყველა აცხადებს პრეტენზიას, რუსეთიც, ოსმალეთიც, სომხეთიც. რუსეთი იმ მოსაზრებით აცხადებს პრეტენზიას ბათომზე, რომ ქალაქი და სიმაგრეები ჩვენ მიერაა აშენებული და ჩვენვე უნდა გვეკუთვნოდესო. ოსმალები ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით თხოულობდენ ბათომს. მაგრამ ბათომის ოლქის ძირითადი მცხოვრებლები ქართველები და აჭარლებია და ისინი მხოლოდ ერთ რამეზე ოცნებობენ, რომ შეუერთდენ საქართველოს რესპუბლიკას. აქედან სჩანს, რომ ბათომის საკითხი ეკუთვნის საკითხთა იმ კატეგორიას, რომელიც პირველ რიგში უნდა იქნას გადაწყვეტილი. მოკავშირეებმა მით უფრო დაჩქარებით უნდა გადასწყვიტონ ეს საკითხი, რომ ბათომის ოლქის სიმდიდრე ბოლშევიზმის იდეის გავრცელებისაგან დაიხსნან. ფაქტები იმის მოწმობენ, რომ ინგლისელებს ბათომსა და მის ოლქში არ შეუძლიათ მშვიდობიანობის დამყარება.

მოკავშირეთა პოლიტიკის გაურკვევლობამ ბათომსა და მის ოლქში ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ისეთი მდგომარეობა შექმნა, რომ ეს მხარე გადაიქცა საშიშ პუნქტად, სადაც ბოლშევიკებსა და ოსმალებს საშუალება ქონდათ თავისუფლათ განევითარებია თავისი დამღუპველი აგიტაცია. გაფიცვები, რომელიც თითქმის ორი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ გრძელდებოდა ზემოდ დასახელებულ ძალების გავლენით, ხელს უშლიდა ევროპის ვაჭრებს, რომ თავისუფალი ვაჭრობა განევითარებიათ ევროპასა და ამიერ კავკასიას შორის. თუ რა საშიში მდგომარეობა იყო ბათომში ამის მაჩვენებელია ფულის კურსიც. ბათომში ღებულობდენ ყველა სახელმწიფოს საკრედიტო ქაღალდებს მათი კურსი ყოველდღიურად იცვლებოდა პოლიტიკური განწყობილების მიხედვით. ქართულ ბონებს შედარებით სხვა ბონებთან უფრო მტკიცე კურსი ქონდა საქართველოს რესპუბლიკაში გამეფებულ წესიერებისა და მშვიდობიანობის გამო. იყო მომენტები, როდესაც ქალაქის ერთი უბანი არ ღებულობდა ამა თუ იმ სახელმწიფოს ბონებს და მეორე უბანი მეორე სახელმწიფოსას. აქედან დასკვნა ერთია: ინტერნაციონალურ ბათომმა თავის წლის არსებობაში ვერ გაამართლა იმედები. საჭირო შეიქმნა ნორმალურ პირობების დამყარება ბათომში, ამას ვერ შეიძლებდა რასაკვირველია ვერც რუსეთი და ვერც ოსმალეთი, ამ მდიდარ მხარეში სიწყნარის მშვიდობიანობის და ნორმალურ ცხოვრების პირობების დამყარება შეუძლია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკას. საქართველოსვე აქვს ყველაზე მეტი, როგორც ისტორიული, ისე კულტურული უფლება ბათომზე. ამასთანავე ბათომის ნავთსადგური უნდა იყოს მთელი ამიერ-კავკასიის ნავთსადგური და საქართველო, რასაკვირველია, ამ ნავთსადგურით ასარგებლებს სომხეთსა და ადერბეჯანსაც (დ. ს.).

## საგ. საქ. სამინისტროს საინფ. განყოფილებისაგან.

საგარეო საქმეთა სამინისტროს შეკითხვაზე ადერბეიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს ზოგიერთ მოქალაქეთა მდგომარეობის შესახებ, ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენელი ბაქოში—ალშიბაია შემდეგს გვატყობინებს: 15 ივლისიდან ჩემი დაჟინებითი მოთხოვნით 56 დაპატიმრებულ საქართველოს მოქალაქეთაგან განთავისუფლეს მხოლოდ 37 კაცი: 1) ფარცხალაძე მიხეილ, 2) დიდებულიძე დავით, 3)მეძმარიაშვილი სიმონი, 4) ჩახუნაშვილი არჩილ, 5) ვაჩეიშვილი ლევან, 6) შიშინაშვილი გალაქტიონ, 7) ფურცხვანიძე ალექსანდრე, 8) ფერაძე იასონ, 9) ზლობინ ვლადიმერ, 10) ჩხარატაშვილი თამარ, 11) ტარასოვა მარია, 12) ლომიძე მარია, 13) ხმალაძე ნიკოლოზ, 14) კვანიკიძე ვასილ, 15) მოსაშვილი ვასილ, 16) ლეკავა ალექსანდრე, 17) კერვალიძე ალექსანდრე, 18) მაღნარაძე ალექსი, 19) ინაგამოვი სულტანი, 20) ჩალაძე ისიდორე, 21) კიკაშვილი ნიკოლოზი, 22) ჩხეიძე მოსე, 23) ტუსკია ალექსანდრე, 24) დუმბაძე ნესტორი, 25) პროკაშვილი ივანე, 26) ცოვიანოვი პეტრე, 27) ყურულაშვილი, 28) კობრავა, 29) მიქავა, 30) ძიძიგური, 31) ელიავა, 32) დანელია, 33) შკიპერი. 34) კობრეიძე, 35) პოლკოვნიკი ხორანოვი, 36) ვაჩნაძე, 37) ექიმი იაშვილი. დაპირება არის, რომ ოფიცრებს: ავალიანს, ბაბულაიშვილს და დვალს ამ დღეებში განთავისუფლებენ. 11-ის წინააღმდეგ ჯერ კიდევ საბჭოთა ჯარების ბაქოში შესვლამდე წარდგენილი ყოფილა სხვა სისხლის სამართლის ხასიათის ბრალდებები.

ევგენი დარისპანის ძე ანთელავა გარდაიცვალა ქლექით. დავით და სოლომონ ჩიჯავაძეები არ დაუპატიმრებიათ, კარგათ არიან და საქართველოში წამოსასვლელათ ემზადებიან.

დანარჩენი 5 პატიმრის შესახებ მოლაპარაკება სწარმოებს.

## სამხედრო სამინისტროში

**ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ.**

**(№ 121—9 აგვისტო 1920 წ.).**

ივლისის 28, ღამით, ჩვენს სანაპირო ოთხ ჯარის-კაცს შემდეგ მამულიშვილის მეთაურობით შეუმჩნევიათ, რომ მთის კოდის კურიტის ძირში ექვსს შეიარაღებული შიხლელი თათარი მირეკავდა საზღვარ-გარეთ პირუტყვ-საქონელს. ჯარის-კაცებს სურდათ შეეჩერებიათ მომხდურნი, მაგრამ უკანასკნელებს თოფის სროლა აუტეხიათ. მწვერავები მივარდნილან მათთან ხიშტებით და მცირე ხნის ჩხუბის შემდეგ ერთი დამცემი მოუკლავთ, ერთი დაუჭერიათ და წაურთმევიათ მათთვის 8 სული საქონელი, 25 ვაზნი და ორი თოფი.

აღნიშნულ ჯარის კაცების სასიქადულო მოქმედებისათვის და სიმტკიცით თავის მოვალეობის ასრულებისათვის ვუცხადებ სამსახურის სახით მადლობას და ვაძლევ მათ ჯილდოს: ზემდეგ მამულიშვილს 1000 მანეთს და ჯარის-კაცებს 500 მანეთს თითოს. რესპუბლიკის საზღვრები უზრუნველყოფილია ყოველ ბოროტმოქმედებისაგან, როდესაც ასეთი შეგნებაა თავის მოვალეობისა ჯარისკაცებში.

სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე.

**(№ 122,—აგვისტო 9, 1920 წ.)**

ზოგიერთი სამხედრო ნაწილები, დაწესებულებები, შტაბები და სამმართველოები დღემდის განაგრძობენ საქმის წარმოებას და მიწერ-მოწერას არა სახელმწიფო ენაზე. საკმარისი დრო იყო, ვინც არ იცოდა შესწავლა ამ ხნის განმავლობაში ენა და თუ არ მოხდა, ამის მიზეზი არის მხოლოდ სურვილის უქონლობა. ვბრძანებ ამიერიდან ყოველივე მიწერ-მოწერა და საქმის წარმოება სამხედრო უწყებაში სწარმოებდეს მხოლოდ სახელმწიფო ენაზე.

სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე.

## შრომის სამინისტროს ცირკულიარი

შრომის სამინისტროს რწმუნებულებს და კომისრებს შემდეგი ცირკულიარი დაეგზავნათ:

შრომის სამინისტრო ამით განმარტავს, რომ 1918 წ. 14 იანვარის დებულების ძალით მუშა მოსამსახურეთა მიერ დამქირავებლებისადმი განცხადებულ პრეტენზიებით ფულს აღება არ შედის შრომის კომისრების კომპეტენციაში და ასეთ პრეტენზიების საქმეები უნდა დაეგზავნოს საერთო სასამართლო დაწესებულებებს და მომრიგებელ კამერებს. იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნილებებს კომისრები უდავოთ მიიჩნევენ, შეუძლიანთ საჭირო ზომები მიიღონ პრეტენზიების უზრუნველსაყოფად.

შრომის მინისტრის ამხანაგი ა. ბახტაძე.

საქმეთა მმართველი ი. გოლდმანი.

## ხოლერის გაჩენა თფილისში

უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში, ქალაქის სხვადასხვა უბნებში, ბაქტერიოლოგიურადაც დამტკიცებული ხოლერის სამის შემთხვევაა აღნიშნული. ხოლერით დაავადებული სამთავე ადამიანი ქალაქში უკვე დიდი ხანია სცხოვრობენ. სხვა უცხო ადგილიდან ხოლერის შემოტანის ეჭვი ამიტომ მიუღებლათ უნდა ჩაითვალოს. ხოლერა აქ, ჩვენშივე გაჩნდა. მაშასადამე მისი გამომწვევი მიზეზები და შესაფერი ნოყიერი ნიადაგი ჩვენს ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ. მსოფლიო ომით და დღევანდელი ეკონომიური არევ-დარევით შექმნილი თფილისის უკიდურესად ანტისანიტარული მდგომარეობა არამც მარტო ხოლერისათვის, ბევრი სხვა გადამდები სენისათვისაც საუკეთესო ნიადაგია. ჰიგიენის მოთხოვნილებათა თვალსაზრისით თფილისის ცხოვრების არც ერთი მხარე სულ ზერელე კრიტიკასაც კი ვერ გაუძლებს. რა საშინელ მდგომარეობაშია წყლის საკითხი ეს ყველა მოქალაქემ კარგად იცის. უვარგისი, მღვრიე წყალიც კი ხშარად ენატრება მოქალაქეს, რადგანაც არსებული წყალსადენი ქალაქის მოთხოვნილებას ნახევრადაც კი არ აკმაყოფილებს. ბინის საკითხი უფრო მწვავეთ დგას ვიდრე წყლისა თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოქალაქეთა 20—30 პროცენტი სრულიად უბინაოდ არის დატოვებული. ძალიან ბევრს აუცილებლობის გამო სადღაც ნესტიან სარდაფში, დერეფანში, ან ვისმეს საკუჭნაოში შეუფარებია თავი და უკიდურეს სივიწროვეში სულს ძლივს ითქვამს. და თუ ვისმეს ძველად შერჩენილი ბინა აქვს, ვაი იმის მდგომარეობას! უკანასკნელი 5—6 წლის განმავლობაში შეუკეთებელი ბინა გაპარტახებულია და მოქალაქე იძულებულია საშინელ ჭუჭყს და უსუფთაობას ძალაუნებურათ შეურიგდეს. ქალაქში ბინებსახლების შეკეთება და აღმშენებლობა სრულიად შესწყდა. თფილისის საერთო უფუთაობა ყოველივე ზომას და წარმოდგენას აღემატება. დღეს-დღეობით ქალაქი თავის სიბინძურით და ჭუჭყით ოსმალეთის მივარდნილ ქალაქს მოგვაგონებს, სადაც ქუჩა, მოედანი და ყოველივე კუთხე სანაგვედ და ადამიანის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ ადგილადაა გადაქცეული. დასარწმუნებლად საჭიროა ნახვა ქალაქის მოედნებისა, განაპირა ქუჩებისა, ხევებისა და ბაღების, სადაც ხალხთან ერთად აუარებელი ქეციანი ძაღლები, ღორები და სხვა ოთხფეხი სრულიად თავისუფლად დაიარებიან და უსუფთაობას აორკეცებენ. სასმელ-საჭმელის საკითხიც უსუფთაობის და ფალსიფიკაციის მხრივ ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. რაც ხდება ფურნეებში, სასადილოებში, საჭმელსანოვაგის მაღაზიებში, სარძევეებში და სხვაგან,—ყველამ უწყის. კანალიზაცია ცუდია, ასენიზაციის მოწყობილება ქალაქს თითქმის არა აქვს. ერთი სიტყვით, ქალაქის ანტისანიტარულ მდგომარეობაზე ლაპარაკის გაგრძელება მეტია. ქალაქის ასეთი უმწეო მდგომარეობა სანიტარიის და ჰიგიენის მხრით არის ის ნოყიერი ნიადაგი, რომელზედაც აზიიდან ინდოეთიდან შემოტანილმა სენმა ხოლერამ აქ ჩვენში დაიბუდა. პირველად ხოლერა აზიიდან 1823 წ. გადმოვიდა, მთელი ევროპა შემოიარა და სპარსეთით ჩვენშიაც შემოვიდა, მასუკან ხოლერა დროგამოშვებით (1826, 1846, 1864, 1883 წელ) ოთხჯერ კიდევ გავრცელებულა საქართველოში უკანასკნელი „დიდი ხორველობა" 1892 წ. არის აღნიშნული. იმ დროს რუსეთის 77 გუბერნიაში, სადაც ამიერ კავკასიაც შედის, სულ—620,051 ადამიანი ხოლერით ავად გამხდარა, რომელთაგან 300,324 ადამიანი გარდაცვალა, საერთოდ რუსეთს მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ხოლერით არა ნაკლებ ორი მილიონი ადამიანისა დაჰკარგვია.

ამ ბოლო წლებში კი ხოლერა ჩვენში თითქმის ყოველთვის ზაფხულს ჩნდება და აუარებელ ზარალს გვაყენებს—როგორც ხალხის სიცოცხლით ისე ქონებრივადაც.

ევროპის განათლებულმა ერებმა ხოლერა და ბევრი სხვა გადამდები სენი უკვე დიდი ხანია მოიშორეს. იმათ ცხოვრებაში ხოლერას ნიადაგი აღარა აქვს. გაუმჯობესებულ წყალსადენების გაყვანით, უმწინდურებათა კანალიზაციით კარგათ მოწყობით და ბინის საკითხის გაუმჯობესებით მათ მოსპეს ანტისანიტარია და უკანასკნელთან ერთად ხოლერის და ბევრი სხვა გადამდები სენის გაჩენის შესაძლებლობაც გაქრა. დროა ჩვენშიც ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ჯანმრთელობა სანიტარიის საქმეს, რომ ხოლერა, სახადი და სხვა ბევრნაირი ჭირი ისედაც მცირერიცხოვან ერს სიცოცხლის ძალას არ გვისუსტებდნენ და ეროვნულ შემძლებლობას არ გვიძაბუნებდნენ.

ექ. ი. ლომაური.

## ნეკროლოგი

**ნინო მერაბ ლორთქიფანიძის ასული თავდგირიძისა.**

გაზეთების შავმა არშიამ მამცნო დიდად პატივცემული ნინოს გარდაცვალება. ნინო იყო მასწავლებელ-აღმზრდელი, ქველმოქმედი საზოგადო მოღვაწე ქალი-ადამიანი. ნინო იყო იმერეთში კარგად ცნობილი ინტელიგენტური ოჯახის წევრი, ახალგაზრდობა მოუწამლა ქმრის საზოგადო მოღვაწის ნესტორ თავდგირიძის სიკვდილმა, ნუგეშად დარჩა ერთად-ერთი ვაჟი, მაგრამ ისიც ადრე გარდაიცვალა. ამის შემდეგ ის მთელ თავის ენერგიას სწირავდა სხვათა შვილების აღზრდასა და პატრონობას. დაარსების დღიდან ის განაგებდა ქუთაისის ეპარქიის დედათა სასწავლებელს, იქიდან გადმოიყვანეს ამავე თანამდებობაზე თფილისში, სადაც გამუდმებული შრომის შემდეგ კიდეც განუტევა სული.

ნინოს მოღვაწეობა მარტო მასწავლებლობითაც არ განისაზღვრება, არამედ ის ქველმოქმედიც იყო. მას სწამდა, რომ ჩვენს ერს გარდა აკადემიური (სასკოლო) ცოდნისა სჭირია სამეურნეო განათლებაც და ამ მიზნით მან ამ 15 წლის წინად მთელი თავისი მამული რამოდენიმე დესიატინა (93 ქცევა საკოლო მიწა აჭარაში და 200 ქცევა ტყე აცანაში) შესწირა აკეთის საზოგადოებას იმ პირობით, რომ იქ საზოგადოებას გაეხსნა სამეურნეო სასწავლებელი. მადლიერმა აკეთის საზოგადოებამ ნინოს სიცოცხლეში ვერ მოასწრო ნინოს ანდერძის შესრულება, მაგრამ ეს ფრიად მოხერხებული ადგილი გურიის ერობის მიერ დღეს უკვე შემოზღუდულია მავთულ-ხლართით და სრული იმედია სასწავლებელიც ადრე გაიხსნება და მით ნინოს სპეტაკი ხსოვნაც საუკუნოდ დარჩება.

აპ. წულაძე.

## სომხეთში.

**სამხედრო ცნობა.**

ერევანი, 7 აგვისტო.

ზანგეზურის მიმართულებით 4 აგვისტოს მტერს დამხმარე ძალები მოუვიდა, რის შემდეგ ორჯერ შემოუტია სოფ. დისს. ორივე იერიში მოვიგერიეთ. ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები. პოკევანისკენ მზვერავთა მოქმედებაა ყარაკილის მიმართულებით. კულუმბერტის ხეობიდან თათრები ჩვენ სურსათის ქარავანს დაესხნენ. თავდასხმა მოვიგერიეთ და მტერი დავაზარალეთ. ადერბეიჯანის ჯარები ინჯევანის რაიონზე თავდასხმისთვის ემზადებიან, ვითომ ადგილობრივ თათრების დასაცავათ.

ადერბეიჯანის ჯარები აპირებენ დაიპყრონ ბარანის, კოტიკენდის რაიონები და შემდეგ ხელში ჩაიგდონ სადგ. კარაკლისი რკინის გზის ხაზის გადასაჭრელათ. ჩვენი ჯარი მზათაა მტერთან ბრძოლისთვის. ამ რაიონის გლეხები ამბობენ „გვირჩევნია, აშკარათ ვებრძოლოთ მტერს, ვიდრე ყოველ წუთს მუხანათურ თავდასხმის მოლოდინში ვიყოთ მუდმივათ".

**ვაჰან ხორენის დახვრეტის გამო.**

2 აგვისტოს, დილის 5 საათზე გერუსში (ზანგეზურის მაზრა) ბოლშევიკებმა წამების შემდეგ დახვრიტეს სომხეთის პარლამენტის დეპუტატი დაშნაკცუტიუნის პარტიის გამოჩენილი წევრი, თფილისში გაზეთ „აზხატავორის" დამაარსებელი ვაჰან ხორენი.

„ნორ-აზხატავორი" შემდეგ სტრიქონებს უძღვნის განსვენებულის ხსოვნას:

„ძლივს თუ ქვეყნად იმისთანა ბოროტ-მოქმედება მომხდარა, რომელიც ასე უაზრო ყოფილიყოს. იმათ, რომელთაც გაბედულება შესწევთ ილაპარაკონ სოციალიზმის სახელით, სინამდვილეში კი სხვა არაფერი არიან, გარდა საზიზღარი ლაქიებისა კონტრ-რევოლუციონურ ფაშების, ხანების და ბეგების. ეს ხალხი ხელს იღებს იმაზე, რომელსაც წლობით აღუზრდია ახალგაზრდობა რევოლუციონური სოციალიზმის იდეებით უცხოვრია და დატანჯულა აღმოსავლეთის ინტერნაციონალის მაზნებისთვის, და უბრძოლია შინგაზრდილ იმპერიალიზმთან ჯალათებს უეჭველია შეგნებული არ ჰქონდათ, თუ ვის ხვრეტდენ. ისინი თავიანთი უციცობით ჰკლავენ იმას, რომელსაც თავის მოკლე სიცოცხლის განმავლობაში უბრძოლია სოციალიზმისთვის, გაუვრცელებია აზიურ სიბნელეში მყოფ მშრომელ ხალხში კლასიური და რევოლუციონური ბრძოლის უდიდესი იდეები.

„მომავალ ისტორიკოსს შეძლება ექნება უფრო ობიექტიურათ გამოაჩინოს ვაჰან ხორენის დიდი როლი, რომელიც მას შეუსრულებია სომეხ რევოლიუციონურ ახალგაზრდობაში და მისცემს მას ღირსეულ ადგილს აღმოსავლეთის განთავისუფლების და სოციალიზმის ისტორიაში".

ვაჰან ხორენი დაიბადა ზანგეზურში; სრულიად ახალგაზრდამ დაამთავრა ეჩმიაძინის სასულიერო აკადემია. შემდეგ გერმანიაში დაასრულა სწავლა. თფილისში დაარსა სომხური გაზეთი „აზხატავორი" და როცა ეს გაზეთი გადაიქცა „დაშნაკცუთიუნის" პარტიის ორგანოთ, ის წავიდა ერევანს. ითვლებოდა სომხეთის პარლამენტის წევრათ და კომისართ იყო გაგზავნილი ზანგეზურში.

## წერილი აჭარიდან

აღტაცებით შევება სამუსლიმანო საქართველო ბათომის და მისი ოლქის დედა-საქართველოსთან შეერთებას.

ამ ამბავმა ძლიერ გაახარა მთელი აჭარის მცხოვრებლები.

დიდი ხანია აჭარა ოცნებობს როგორმე თავი დააღწიოს ხან ალებ-ბეგების მონობის უღელ ქვეშ ცხოვრებას. აი, დაუდგა აჭარას გაზაფხული!..

აჭარას ჯერ კიდევ არ დავიწყებია რეაქციონური მათრახები, ნიკოლოზის ყაზახების თარეში, რომლებმაც მთელი აჭარა დაარბიეს და მიწასთან გაასწორეს. აი, ამ დროს საქართველომ ამხ. აკაკი ჩხენკელის საშუალებით აწიოკებულ აჭარას დიდი დახმარება აღმოუჩინა. მოგვცა ფული, მოგვცა პური, მოგვცა ტანისამოსი და დაგვიხსნა სიკვდილისაგან. და განა ამას დაივიწყებს აჭარა?

მოგვეცით სამუსლიმანო საქართველოს, ამხ. აკაკი ჩხენკელი, ჯამალ-ბეგხიმშიაშვილი, გენერალი ჩიქოვანი და მზათა ვართ ჭირში და ლხინში ვიყოთ საქართველოსთან.

მაგონდება წასული ამბავი. ეს იყო ბათომში 1905 წ. როდესაც ვმუშაობდი მანთაშოვის მეორე ქარხანაში. იმ დროს ჩემთან ერთად მუშაობდა 80 მეტი აჭარელი მუშა, საერთოდ ამ ქარხნის მუშების სულიერი საზრდოს მიმცემი და პოლიტიკურათ აღმზრდელი იყო ამხან. ბენია ჩხიკვიშვილი და ამხ. ჩხეიძე. ეს პირები ისე გვიყვარდა ყველა მუშებს, რომ მზათ ვიყავით როგორც ერთი კაცი მსხვერპლად შევსწიროდით.

რეაქციის გამეფებისთანავე ყველანი შევიქენით დევნილნი. რეაქციონურმა რაზმებმა ყველა კუთხეებში ბევრი ამხანაგი იმსხვერპლა. ერთი 80 წლის მოხუცი სოფელ ბეუიბი ქვიდა უზნელი თაირალ დიასამიძე როზგ ქვეშ აკვნესეს, რომ ეთქვა სად, ან ვინ არიან მოწინავენი, მაგრამ მაინც ვერ მიაღწიეს მიზანს. ამ დროს გულენინიანი ადამიანი აჭარაში იყო ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილი, რომელმაც ბევრი იხსნა ტანჯვისაგან.

ახლაც ასეთივეა სულის კვეთება. საერთოდ ხალხის, მტკიცეთ იცავენ საქართველოსთან კავშირს და მზათ არიან თავიც შესწირონ; მართალია, ბევრს ლაპარაკობენ და კიდევაცა სწერენ წინააღმდეგ, რომ აჭარას არ სურს ქართველების მოცემული სამოთხეო, მაგრამ დიდი ხანია ამ ვაჟბატონებს გულში ჩაუძვრა აჭარის დემოკრატია და გაუგო მათი ფიქრები. მათ სურთ, რომ ერთი მუჭა ხან-ბეგებმა ჩაიგდონ ხელში მთელი ბათომი აჭარით და ფლანგონ ხალხის ქონება ისე, როგორც მათ სურთ. აჭარის დემოკრატიამ კარგათ იცის, რომ რაც მინდობილობა ჰქონიათ მათ არაფერი კარგი არ მოუტანიათ ხალხისთვის, არამედ უზნო-უკლოთ უფლანგიათ ხალხის სიმდიდრე. დღეს აღარ მოსტყუვდა ხალხი.

ჯერ დენიკინელების და მერე დიდი ბრიტანეთის მიერ სულ შეხუთულმა აჭარის ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა. როდესაც ბათომში და ოლქში არჩევნები იყო, მათი აგენტები დაწრწოდნენ სოფლებში და ძალათ ხმას აძლევინებდნენ. მიუხედავათ მათი დაპირებებისა მაინც ხალხი ზიზღით უყურებდა და ბევრი წინააღმდეგი იყო ხმის მიცემისა მათ სასარგებლოთ.

მაგალითად სოფლებში, აქუცა,

არსებული კლუბი ეს ჰაერში გამოკიდებული რაღაც მოჩვენება იყო.

კლუბს კერძოთ თითო პიროვნებები პატრონობდენ და მუდამ საქმე ცუდათ მიდიოდა. ამხ. სარქველაძე და ამხ. ლორია მოუწოდებენ ყველა კავშირების და ორგანიზაციების წარმომადგენლებს იხელმძღვანელონ განვლილი მუშაობით, ნუ ექნება საერთო საქმეში შენ-ჩემობას ადგილი. ბოლოს წარმოდგენილი ანგარიში კრებამ დაამტკიცა. ახალი კლუბის შენობის შესახებ გადაწყდა: ამორჩეულ იქნას კომისია, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში გამონახავს ცენტრს; აუცილებლად ისეთ შენობას, რომელიც შეიძლება შეკეთდეს. ჯერჯერობით კი ძველმა კლუბმა განაგრძოს მუშაობა დროებითი გამგეობის ხელმძღვანელობით.

**პ. ლეხელი.**

# პროვინცია

**საგანგებო კომ. რევიზია გორის მაზ.**

საქართველოს არც ერთ კუთხეში ისე მწვავეთ არ სდგას საკითხი აგრარული რეფორმის შესახებ, როგორც გორის მაზრაში.

ამ მოკლე ხანში სხვა მაზრებში მიწის განაწილების საქმე თუ საბოლოოთ არა, ნახევარზე მეტი მაინც დათავდება. აქ კი, უკვე 3 წელიწადი გადის და ჯერ მიწის ჩამორთმევაც არ არის დათავებული და როდის დათავდება, არავინ იცის.

განაწილებაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება. რა თქმა უნდა, ამის გამო დიდი მოთქმაა სოფლათ. ზოგი იმას ამბობენ, რომ ამიერ კავკასიის სეიმმა მიწის კანონი მემამულების სასარგებლოთ დაწერაო.

ბევრნი კი აშკარათ ლაპარაკობენ, რომ ჩვენი მთავრობა და მიწათ მოქმედების სამინისტრო მემამულე თავადებისაკენ გადაიხარაო.

რასაკვირველია შეგნებული ნაწილი არც ერთს არ ეთანხმება.

ესენი უმთავრესათ ბრალს სდებენ მიწის მზომელებს და საერთოდ კომისიებს. ესენი ძველი მექრთამე ჩინოვნიკებია და თავად-აზნაურობამ ფულით მოისყიდაო.

ეს ცესამე აზრი თითქოს მართლდება კიდეც:

ის მემამულე, რომელიც კეტით უნდა ხვდებოდეს აგრარულ კომისიას, მიწის მზომელს, ხშირათ გახარებული რჩება კომისიის მისვლით.

თუ რომელიმე რაიონში კომისია მივა მისვლისთანავე ეს ადგილი მემამულების ბუდეთ ხდება; დღე და ღამ ქეიფი, დაძმობილება, პურ-ღვინო, სახლებში კამპანიების გამართვა და მიწვევა მემამულების ოჯახებში...

მაგალითად, წარსულ წელს მეჯვრისხევის რაიონის კომისიის თავმჯდომარე ლორთქიფანიძე სერგო და მიწის მზომელი სიხიევი. თავიანთ ცოლშვილ ნათესავებით მემამულეებმა ხმალაძე—ჩიკვაიძე—ერისთავებმა თავიანთ სახლებში მიიწვიეს და ოთხი თვე ამრიგ ქეიფში გაატარებინეს. ვინ იცის, კიდევ რამდენი ხანი დარჩებოდენ ამ რაიონში, რომ ეს პირები მიწათ-მოქმედების მინისტრის პასუხისგებაში არ მიეცა.

მდივნები და მიწის მზომელებიც მემამულეთის ასეთ უხვ გულ-კეთილობას მალე ითვისებენ და კარგ შემოსავლის წყაროთ იყენებენ ამ საზღაპრო კრიზისის დროს, ასეთ გარემოებამ გამოიწვია მუშაობის გაჭიანურება, ცოლებზე, ნათესავ-შვილზე და სხვ. ნორმების გადიდება და კანონების სხვა გზით შემოვლა.

წარსულ წელს კომისიამ ოთხი თვე იმუშავა მეჯვრისხევის რაიონში. კანონის ფარგლებში, რომ ემუშავნა, საკმარისი იყო ერთი თვე.

დასატოვებელი ჰქონდათ ს. ახალუბანში 2 ნორმა კობახიძეებს, სოფელ ოძეში ორ კომლ ხმალაძეებს და დიდებულიძეს—სულ ამ სოფელში სამი ნორმა ეკუთვნოდათ, სოფელ ჯარიაშენში—ოთხი ნორმა ყველა მემამულეებს, როგორც ეს გამოძიების დროს დამტკიცდა. მათ კი ოთხი თვე გაატარეს ამ რაიონებში და მემამულეებს 25 ნორმა პირველი ხარისხის მიწები—სახლ-კარი ვენახები მეორე ხარისხით ჩაურიცხეს. ასე რომ, 50 ნორმა მისცეს 9 ნორმის მაგივრათ.

ესევე ითქმის გორის მაზრის კომისიების უმეტეს ნაწილის მუშაობაზედაც. ეს მაზრა არის განსაკუთრებული ძველი ფეოდალების მაზრა და, სადაც ახსოვს 1905 წლის შავი რაზმი და წითელ რაზმელი გლეხების ბრძოლა, მას არ გაუკვირდება, თუ დღეს ისინი, მემამულეები, არც კანონს და არც მთავრობას არ ემორჩილებიან. ბევრგან კომისიის წევრები—სოფლის გლეხები, ტერორის ქვეშ დააყენეს. მთელს მაზრაში ორი წილი მოხელეებისა ამ შავრაზმელებისგან შესდგება.

ამ სამწუხარო გარემოებას მიწათ-მოქმედების სამინისტრომ სერიოზული ყურადღება მიაქცია.

მიმდინარე წლის ივნისის პირველ რიცხვებში საგანგებო საგრარო, განსაკუთრებულ უფლებით აღჭურვილი გამომძიებელი კომისია დანიშნა, რომელშიაც მონაწილეობენ: აგრარულ ...

... მთელს მაზრაში არც ერთი მდივანი და მიწის მზომელი არ აღმოჩნდა თავის მოვალეობის სიმაღლეზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდე გამონაკლისს—სოფ. ხელთუბნის მიწის მზომელს და ორს კიდევ სხვას. მაზრაში 14 კომისიას უმუშავნია წელს.

კომისიები შეჩვეულან მაზრის ინსტრუქტორების ძმა-ბიჭურ რევიზიას და სრულიათ დავიწყებიათ სხვა უფრო მაღალი დანიშნულების რევიზია. როდესაც მოვთხოვდით საქმის ქაღალდებს,—მიპასუხებდენ:—აქ არა მაქვს, გუშინ მეორე სოფელში ვმუშაობდი და დამრჩაო. სულ ერთია ამ ორი დღის წინათ მაზრის ინსტრუქტორმა გააკეთა რევიზია და ყველაფერი ძალიან მოიწონაო.

მართლა კი ზოგს ორი-სამი თვე რაიონში გაუტარებია და ნამუშევარი არ უჩანს.

სამუშაო იარაღები მიყრილი აქვთ, თვითონ კი დასეირნობს ბაღებში. ბევრის საქმიანობა გამოიხატება თურმე იმაში, რომ ზოგიერთ მემამულის ნათესაობას დაეხმაროს და გამოუყოს ნორმა და სამაგიეროთ ჯილდო იგდოს ხელში.

საგანგებო კომისიამ ადგილობრივ თავის თვალით ნახა ყველაფერი და შესაფერი საქმეები შეადგინა.

მიიღო შემდეგი ზომები: ზოგი მიწის მზომელი და მდივანი პასუხისგებაში მისცა და გადააყენა, როგორც მიწის მზომელი კორმოზევსკი და მდივანი ჯავახიშვილი და სხვა—ბევრნიც გააფრთხილა და მოვალეობის შესრულებაზე მიუთითა, მეტი ნორმების შესახებ კომისიამ სამინისტროს ოქმები წარუდგინა. სადაც კი აღმოჩნდა თითო ოჯახში ერთ ნორმაზე მეტი, მინისტრმა გააუქმა და მიწები ფონდში გადარიცხა.

ზოგს მთელი ნორმა ჩამოართვა და მემამულე პასუხისგებაში მისცა კანონის დარღვევისთვის.

**ტატიშვილი.**

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**

# განცხადებანი


**ქუთაისში დაბრუნდა ექიმი**
**მ. ი. ვოლოხი**
და განაახლა მიღება ქალ. შინაგ. და ვენერ. ავათმყოფებისა. მიღება დილის 10—12 საათ. და საღ. 4—7-დის, ფრანგების მოედანი № 33. (2614—თ.)

**საჭიროთ**
ვეძებ გამოცდილ ქართველ
**მასწავლებელს**
ქალს ან კაცს, ბავშვებისათვის
9 კომისარ. ლიუტერანის შესახვევი სახლი № 30, არჩილ მდივანი. (2612—1—1)

ექიმი
**ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი**
გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან მიხეილის პრ. № 23 ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული ავათმყ. (გაძნელებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606“ და 914 შეშხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ. (თ. 2577)

ექიმმა
**ნიკოლოზ მახვილაძემ**
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (თ. 2528)

ექიმი
**ნ. ლ. ტურიაშვილი**
იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

**საავადმყოფო**
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
**მიხეილ გედევანიშვილისა**
დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყირღანოვის ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ჰოსპიტალის ექიმი
**ი. გ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჰიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვკურნავ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914), ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. (ცეცხლის მქრობელთა რაზმის ბინის ახლოს). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი
**ქ. გ. პართანოვი**
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის საჩამართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ქქიმი **ივ. გოკიელი**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № ... სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საშარდე... 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

დოქტორი
**გ. გ. მეგრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა—ელექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი
**ე. ი. კალანდაძე**
ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (2446—თ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი ... დებები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ... განოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ... ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლოს (2383—თ.)

ექიმი
ექიმი **იასონ ძე ვოლოხი**
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—... პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის). ტელეფონი 7—38. (1741)

ექიმი
**გ. ი. ოყროპირიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. ... ქ. № 22, ...

ექიმი
ხაჩიკაშვილი ... ძე ...
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ... 5—7 ს. შილერის ქ. № 5 ტელეფ. 10—55 (1742)

**ამ დღეებში თფილისში გამოვა**
ყოველკვირეული, საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
**„სოფლის მუშა“**